# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2007 წელი.

№ 129 (5730)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## აღარავინ შეჰყურებს ხბოს აღტაცებით ხელისუფლების შოუებს

2

**ბექაშვილმა პრეზიდენტს საქვეყნოდ მოსჭრა თავი**

## თუ ძმამ ძმას ანგარიში უყო და მაინც ძმებად დარჩნენ, ჩვენც რად არ უნდა მოვექცეთ ასე მეზობელ მოძმე ერს?

3

## ქალაქში ბველები მომრავლდა

11



6

## ეტყობა, გახურებული „პრივატიზაციისას“ ზოგიერთებს სინდისიც „შემოხარჯვიათ“, რაკი სასაფლაოებზე მიმდგარა ჯერი!

## საქართველომ გაეროში ხმის უფლებისთვის ფული გადაიხადა, თუმცა, ბოლომდე ვალები არ გაუსტუმრებია

10





3

## მოსამართლეობის კანდიდატები უმრავლესობის გავლენიან დეპუტატთა კაბინეტებში მათხოვრობენო

## ხელისუფლება სუქდება, ხალხი ჭლექდება

5





6-7

## ჩვენი არაშორეული მეზობელი ირანი

● მრუდედ წასულის გასწორება ძალზე ძნელი, ხშირად შეუძლებელიც კია. მით უფრო, რომ ვისაც გასწორება ძალუძს, სწორედ საწინააღმდეგოს სჩადის.

№ 129. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2007 წელი.

◉ ფუჭი გასროლები

# ალარავინ შეჰყურებს ხზოს ალტაცებით ხელისუფლების შოუებს

## ბეჟაშვილმა პრეზიდენტს საქვეყნოდ მოსჭრა თავი

**ერთი მეგობარი და კოლეგა მიყვებოდა, ამ ორიოდ წლის წინათ ახლობელი კაცი დაიბარეს გენპროკურატურაში. კარგა ხანს აყურყუტეს და ხვალ მოდიო, უთხრეს. მივიდა. ტელევიზიით ალყაშემორტყმულს დაადეს ხელბორკილიო. თურმე, პირველ დღეს ტელევიზია არ მისულა...**

ყველაფერი კი გახსოვთ, როგორ დაიწყო? პირველად შიდა ქართლში პრეზიდენტის მაშინდელი რწმუნებული ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი შეიჭრა არალეგალურ საროსკიპოში, მერე კი ერგნეთის ბაზრობას დაეცა. პრეზიდენტმა აქო და ადიდა, ჩემი მარჯვენა ხელია. აი, მუშაობის ახალი სტილი. წინა ხაზზე თავადაა, სხვისი ხელით კი არ გლეჯს ნარს, შევარდნაძის მინისტრებივით კაბინეტში ბუზებს (ფულებსძ კი არ ითვლისო. ასე შეგულიანებულმა ჩინოსნებმა, უშუალოდ მათი საქმე იყო თუ არა, მაინც გამოიდეს თავი და დაიწყო — აკაკი ჩხაიძე, გია ჯოხთაბერიძე, მერაბ ჟორდანია... სამართალდამცავებთან ერთად, იქვე ჩამომწკრივებული სხვადასხვა სიგრძის სახელოს მფლობელი ჩინოსნები — ნაცმოძრაობის ლომები ცეცხლოვანი პათეტიკით გვიდუღებდნენ სისხლს — გვჯეროდეთ ჩვენი, ერთხელ და სამუდამოდ ვწმენდთ ასეთი ნაძირალებისგან ქვეყანასო.




ხომ მოგვწონდა ძალიან ბევრს ასეთი საჯარო შეპყრობები? ხომ გვჯეროდა ძალიან ბევრს, რომ მართლაც ქვეყნის გამსწორებელნი მოგვევლინნენ?

ადამიანური ბოლმა და ნიშნისმოგებაც გასათვალისწინებელია (ეს პიარკამპანიები ამის გაანგარიშებითაც წარიმართებოდაძ — ეგეც მაგათ, მოუკუპრეს პირი, ეგონათ, შერჩებოდათო!

მაშინ კი გადაამლაშეს სამართალდამცავ-ჩინოვნიკებმა ქუთაისში ლოგინიდან წამოგდებული შალიკიანი ნიფხავ-პერანგის ამარა რომ გამოაჭენეს სოფელ-ქვეყანაში. დაავიწყდათ, რომ საქართველოა და, როგორც გინდა იყოს, კაცის ღირსება მაინც ღირსებაა. ამან უკვე შეაცბუნა იმ ბევრი „მორწმუნიდან“ ზოგი.

მერე და მერე კი, ბოროტმა ენებმა რომ ხმა დაყარა, დაკავებულთ უზარმაზარ, ასეულ მილიონობით თანხებს ახევენ და იჯიბავენ, ბიუჯეტს კი წვრილად უფშვნიანო, რომ ის წვრილად მოფშვნილიც არა და არ წაადგა არც ხალხსა და არც ქვეყანას, იმ ბევრთაგან უკვე უმეტესობამ მოიქექა კეფა და ჩაფიქრდა.



ფიქრი კი ძალზე ოხერი რამაა და ისიც „მოგვაფიქრა“, რაზეც თავშივე უნდა გვეფიქრა — კანონის დარღვევით კანონიერება ვერ აღდგება! უსამართლობით სამართალს ვერ დაამკვიდრებ! დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ ადამიანის უდანაშაულობა-დამნაშავეობას მხოლოდ სასამართლო ადგენს. ვითომ ახალი ცოცხის პრინციპით მოქმედი ახალი და ახალგაზრდა ხელისუფლება კი მავანთა ასეთი ტაციობა-ტაციობით, თურმე, თან სწორედ ხალხის ფსიქიკის განწყობას ითვალისწინებდა, თან, თურმე, „მოსაკრებელს“ ეჩოსავით თავისკენ ითლიდა და, თანაც, თურმე, იმ შიშს, სრული დაუცველობის სინდრომის შეგრძნების დამკვიდრებაზე მუშაობდა, რასაც ახლა ვყავართ შეპყრობილნი.

ხანი გამოხდა. ხელისუფლება რასაც უნდა, იმას სჩადის. კანონი მათი ვირია. სურთ, ლობის გალმა დააბამენ, სურთ — გამოლმა, მაგრამ თვალში ნაცრის შეყრის, პომპეზურობის საყმაწვილო სენი მაინც ვერ მოიშალა.

აგერ, ახლა ქუთაისში თათბირზე დაიჭირეს 30-მდე კაცი. არადა, იმდენად განსხვავებული სამსახურებიდან არიან თურმე, რომ მათი ერთობლივი თათბირი იგივეა, ვთქვათ, ფილოლოგმა და ატომური ფიზიკის სპეციალისტებმა რაიმე საერთო პროფესიულ საკითხზე რომ იმსჯელონ. თანაც, დაბეჯითებით ამბობენ, დაკავებულებმა წინდაწინვე იცოდნენ, რაც ელოდათ, ხოლო რამდენიმე მათგანი სულაც წინა დღით შეუპყრიათო. იმასაც ამბობენ, რომ ეგენი, მანამდე დაჭერილი ბათუმის მერიის მუშაკები და კიდევ ბევრი სხვა წვრილფეხა თუ საშუალო წონის ჩინოსანი, შიგასახელისუფლებო კლანური დაჯგუფებების ბრძოლის მსხვერპლნი არიანო. აბა, გოროზი ხელისუფალნი თავად ხომ არ მოიჭრიან კუდს?!

უმთავრესი კი ისაა — თავიდან მრუდედ წასულის გასწორება ძალზე ძნელი, ხშირად შეუძლებელიც კია. მით უფრო, რომ ვისაც გასწორება ძალუძს, სწორედ საწინააღმდეგოს სჩადის. ანუ, ისევ ისე, უსამართლობით ცდილობენ მოჩვენებითი სამართლიანობის აღდგენას. ისევ ისე, უდანაშაულობის პრეზუმფციის ფეხქვეშ გათელვით პირდაპირ, დაკავებისთანავე დამღავენ დამნაშავის სახელით. მაგრამ ამ მატარებელმა უკვე ჩაიარა, ბატონებო. მერწმუნეთ, ყველაზე გულუბრყვილონიც კი აღარ შეჰყურებენ ხზოს აღტაცებით ტელეეკრანებს ასეთი „ტინგიცობების“ დროს. სხვა რამ უნდა მოიფიქროთ. ეს სხვა რამ კი ქვეყნის სასიკეთო საქმის კეთებაა და სხვა არაფერი.

**კონსტანტინე გურგენიძე**

**P. S. პარლამენტის გუშინწინდელ სხდომაზე ფიქრია ჩიხრაძემ „ქუთაისურ პყრობის“, ასე ვთქვათ, უცნაურობებზე რომ ილაპარაკა, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა პასუხად ჯერ ოპოზიციონერი კოლეგები დაამუნათა, ხშირად გამოთქვამთ ბრალდებებს (ალბათ, უსაფუძვლო ბრალდებები იგულისხმება — კ. გ.ძ სამართალდამცავთა მიმართო და მერე ისეთი რამ მოაყოლა, პრეზიდენტს მთელი მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე რომ მოსჭრა თავი — კოლეგები ყურადღებას არ ამახვილებენ „იმ დამნაშავეობის ფაქტზე, მათ შორის, სახელმწიფო სამსახურში, რომელიც ასე მოდებულია საქართველოში“-ო.**

**ბატონი პრეზიდენტი კი ყველა დონის საერთაშორისო შეხვედრასა თუ ინტერვიუებში უცილობელ ჭეშმარიტებად ლალადებს, ქვეყანაში დამნაშავეობა თითქმის დაძლეულია და ყველაზე არაკორუმპირებული ხელისუფლება ვართო.**

**მერედა, როგორ შეესატყვისება ამ პრეზიდენტისეულ „აქსიომას“ ბატონ ბეჟაშვილის გამონათქვამი?!**

**კ. გ.**



◉ მთავრობა

## ნოღაიდელი ლომაიათი კმაყოფილია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ მთავრობის სხდომაზე მადლობა გადაუხადა განათლების მინისტრს ალექსანდრე ლომაიას და მთლიანად სამინისტროს ერთიანი ეროვნული გამოცდების სტაბილურ და მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობის გამო.**

განათლების მინისტრმა მთავრობის სხდომაზე მოკლე ინფორმაცია გააკეთა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ერთიანი ეროვნული გამოცდები. მისი განცხადებით, გამოცდების პირველი ეტაპი ყოველგვარი ტექნიკური ხარვეზის გარეშე დაიწყო.

ლომაიას ინფორმაციით, წელს აბიტურიენტთა რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა, დაახლოებით, 40 ათასი აბიტურიენტი, რაც, შარშანდელთან შედარებით, 7 000-ით მეტია. კახა ლომაიას განცხადებით, აგვისტოს შუა რიცხვებამდე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები უკვე ცნობილი იქნება.

## კი გვსურს, რომ დავუჯეროთ, მაგრამ...

**საქართველოში წელს დამატებით 90 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

— ეს საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისი თქმით, მიმდინარე წლის 6 თვეში კერძო საწარმოების სახელფასო ფონდი დაახლოებით 50 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, ჩვენი გეგმები ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით, წარმატებით მიმდინარეობს. მეორე ნახევარშიც, ანალოგიური ტენდენციები გვექნებაო.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ესეც ასე!

## ოპოზიციას კი ეგონა, ლომაიაა დასაჭერიო!

**განათლების მინისტრი კახა ლომაია კონტროლის პალატის თანამშრომლების წინააღმდეგ პროკურატურაში საქმის აღძვრას არ აპირებს.**



მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება იმით არის განპირობებული, რომ კონტროლის პალატის ბევრ თანამშრომელს კვალიფიკაციის ძალიან დაბალი დონე აქვს, რაც კონტროლის პალატის მიერ სამინისტროს შემოწმებისას ნათლად გამოჩნდა.

— სამინისტროს შემოწმებისას არაკვალიფიციურობისა და კორუფციულობის ნაზავი გამოვლინდა, — განაცხადა მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ მოსამართლის ტყავი

## დეპუტატმა არონიამ ევროპაში „გვარონია“

**27 ივნისს პარლამენტი სასამართლოებში ვიდეო-გადაღებების აკრძალვის საკითხს განიხილავდა. გამაკვირვა ზუგდიდელი დეპუტატის ნაზი არონიას პოზიციამ. იგი ჩვენს სასამართლოს ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის სასამართლოებს ადარებდა.** იტალია, პოლონეთი, უნგრეთი მისთვის რა სახსენებელია. თითქოს დაავიწყდა, რომ ზუგდიდის სასამართლომ უკვე რამდენი წელია ვერა და ვერ გადაწყვიტა იქაური ბაზრის კარის საკითხი. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ პრობლემებზე, რაც დღევანდელ სასამართლოშია და მათზე შექმნილ საზოგადოებრივ აზრზე. იგივე დღეს ტელევიზიით გადმოსცეს. საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ჟაკ შირაკს სასამართლოში კორუფციული სკანდალის გამო იბარებენო. ამას წინათ ტელევიზიით ისიც ვიხილეთ, როგორ დასაჯა ბრიტანეთის პრემიერის შვილი სასამართლომ საჭესთან ლუდის დალევისათვის. ხოლო ქალბატონ ნაზის შევახსენებ: ამერიკაში სასამართლოს სისტემის ჩამოყალიბებისას მოსამართლის სკამს იმ მოსამართლის ტყავი გადააკრეს, ვინც უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, რათა ყოველ მოსამართლეს გაეთავისებინა პასუხისმგებლობა. ამ ქვეყნებმა, სრულყოფილი სასამართლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რთული და გრძელი გზა გაიარა. ჩვენი დეპუტატი კი საჯაროობის, გამჭვირვალობის ნაცვლად ანგაჟირებულ სასამართლოში მხარს უჭერს ჩემიას ტიპის მოსამართლეებს.

თუ არა ვიდეოგადაღება და საჯაროობა, სასამართლოებში კიდევ მეტი უმსგავსობა და უსამართლობა მიიჩქმალება.

**მალხაზ იაშვილი**

# ქვეყანა

● მსოფლიოში მიმდინარე გლობალური დათბობის შეუქცევადი პროცესები და მისგან გამოწვეული გაუდაბნოების ტენდენცია იძლევა იმის პროგნოზირების საშუალებას, რომ მალე სასმელი წყალი ბევრად უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე ნავთობი. ამდენად, არავის არა აქვს საქართველოს ერთ-ერთი ძვირფასი რესურსის — სასმელი წყლის დანაშაულებრივად გაფლანგვის უფლება



◎ კანონმდებლები

# მხოლოდ ვიდეოგადაღებები აიკრძალება

## მოსამართლეობის კანდიდატები უმრავლესობის გავლენიან დეპუტატთა კაბინეტებში მათხოვრობენო

***„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტი გასულ კვირას პირველი მოსმენით კენჭისყრის დროს, საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, ტექნიკური მიზეზის გამო ჩავარდა. შესაბამისად, რეგლამენტის თანახმად, მისი ხელახალი შემუშავება გახდა აუცილებელი. კანონპროექტის ინიციატორია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. თუ პირველი ვარიანტის თანახმად, სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლოს სხდომის დარბაზში, საქმის განხილვისას ფოტო-კინო-ვიდეო გადაღება და აუდიოჩაწერა იკრძალებოდა, კანონპროექტის ხელახალი გადამუშავების შემდეგ, სასამართლო დარბაზში მხოლოდ ვიდეოგადაღებები აიკრძალება, აუდიო და სტენოგრაფიული ჩაწერა კი შესაძლებელი გახდება.***

— აუდიო და სტენოგრაფიულ ჩაწერას არც ერთი კანონი არ კრძალავს, მაგრამ ვერც ერთი ჩანაწერი და ვერც ერთი სტენოგრამა ვერ აღწერს, როგორ ახტება რომელიმე პოლიტიკოსი მაგიდაზე და იყვირებს ცუდ სიტყვებს. ვილაცამ შეიძლება დაწეროს ამის თაობაზე, მაგრამ ეს არ იქნება მთავარი „ნიუსი“. „ნიუსი“ იქნება მოსამართლის გადაწყვეტილება, ადვოკატის, ბრალმდებლის გამოსვლები. ეს არის ჩვენი პოზიცია, — ამბობს უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე.

ასეთი არგუმენტები ოპოზიციას არ აკმაყოფილებს. მათი თქმით, ამ ცვლილებებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტში ძირითადად არაფერი იცვლება და მსჯელობა იმაზე, რომ აუდიო დაიშვება, ვიდეო კი არა, ეს სიმახინჯის კოსმეტიკური შელამაზების მცდელობაა.

სასამართლოზე ვიდეოგადაღების აკრძალვის წინააღმდეგია უმრავლესობის წევრი ელენე თევდორაძეც. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოებას შესაძლოა მიეწოდოს ისეთი ინფორმაცია, რაც ჟურნალისტის მიერ თუნდაც უნებლიედ, სუბიექტურად იყოს აღქმული.

კახა კუკავას აზრით, ეს არის ზეწოლა სიტყვის თავისუფლებაზე. შეგახსენებთ, რომ კონსერვატორების ლიდერს არც ის საკანონმდებლო პროექტი მოსწონს, რომლის მიხედვითაც, საქმის განხილვისას პროცესის მონაწილეს მოსამართლესთან ნებისმიერი ფორმის კომუნიკაცია ეკრძალება.

კუკავას განცხადებით, მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტი არა მისთვის მობილურის წართმევა, არამედ სასამართლოს დამოუკიდებლობის თაობაზე ევროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება უნდა იყოს!

იგი ამბობს, რომ მოსამართლეები თანამდებობაზე დანიშვნამდე პარლამენტში უმრავლესობის გავლენიანი დეპუტატების კაბინეტებს სტუმრობენ.

— ხშირად შემინიშნავს, როგორ დაშლიგინობენ უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატები პარლამენტის შენობაში დეპუტატების კარდაკარ. მათხოვრობენ და იხვეწებიან, ოღონდ დაგვნიშნეთ და თქვენი მორჩილნი ვიქნებითო, — განაცხადა ამას წინათ მან. კონსერვატორების ლიდერი პარლამენტის საშვთა ბიუროდან ოფიციალური მონაცემების გამოტანას და გამოქვეყნებას გეგმავს.

**მზია გელენავა**



◎ პოზიცია

# წყალი ჩვენი არსობისა...

## თუ ძმამ ძმას ანგარიში უყო და მაინც ძმებად დარჩნენ, ჩვენც რად არ უნდა მოვექცეთ ასე მეზობელ მოძმე ერს?

***ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების თანხმობით, სართიჭალის ტერიტორიაზე, მდინარე იორის ჭალებში, ააგო საკაპტაჟო ნაგებობა, რომლის მიზანი იყო მდინარე ივრის ფილტრატების დაჭერა და მისი ერთი ნაკადის მიწოდება ბალხიანის (საქართველოძ გამანაწილებელი უბნისკენ, მეორისა კი — ჯეირან ჩოლის (აზერბაიჯანიძ საძოვრებისთვის. ამ ღონისძიების მიზანი იყო სასმელი წყლის მიწოდება ბაქოსა და აზერბაიჯანის რიგი რაიონებისთვის, რადგან, როგორც ცნობილია, კავკასიის ამ რეგიონში პრაქტიკულად არ მოიპოვება სასმელად გამოსადეგი წყალი.***

მეოცე საუკუნის 50-იან წლებში შექმნილმა ივრის ჭალების წყალმიმღებმა სისტემამ რამდენიმე წელიწადს იმუშავა და, წყალმიმღები ხვრელების თიხური ფრაქციებით გაბიდვნის გამო, პირვანდელი ფუნქცია დაკარგა.

უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე იორი ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსს ატარებს, და არსებული საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, მისი წყლები, როგორც ზედაპირული, ასევე ფილტრატები, პარიტეტულ საწყისებზე უნდა გადანაწილდეს მფლობელ ქვეყნებს შორის.

ცალმხრივად, სათანადო გამოკვლევების გარეშე, ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებით, აზერბაიჯანულმა მხარემ, საქართველოს მთავრობის ნებართვით, გასული საუკუნის 60-იან წლებში მდინარე ივრის მარცხენა სანაპიროზე გაიყვანა მილოვანი წყალმიმღები, რომელმაც ფაქტობრივად შეკრიბა არა საერთაშორისო კანონებით ნებადართული მდინარე ივრის ფილტრატები, არამედ სართიჭალის აუზის ფარგლებში კომპაქტურად განლაგებული დაუნაწევრებელი მეოთხეული ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები. ეს წყლები ადრე აგებული დიუკერის მეშვეობით თვითდენით იქნა მიწოდებული გამანაწილებელ კამერაში, იქიდან კი ჯეირან ჩოლის საძოვრებზე. უზრალო, მკითხველთათვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, აზერბაიჯანი თვითნებურად, საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით იტაცებს ქართულ ეროვნულ ბუნებრივ სიმდიდრეს — სასმელ წყალს, რომელიც დღეს რიგ ქვეყნებში ნავთობზე ბევრად უფრო ძვირად ფასობს.

ამრიგად, ქართული წიაღისეულის მიტაცება გრძელდებოდა 35 წლის განმავლობაში, ვიდრე შპს „უდაბნომ“ არ მიიღო ლიცენზია საბადოს მოვლა-პატრონობაზე.

აზერბაიჯანის მიერ საქართველოს ტერიტორიიდან ტრანსპორტირებული წყლის წარმოშობის საკითხის დასადგენად 1997 წლის 15-16 აპრილს შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ: აზერბაიჯანის მხრიდან მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნ. კაზიბეკოვი, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი ნ. იმამალიევი, გეოლოგიისა და მინერალური რესურსების მთავარი კომიტეტის განყოფილების უფროსი ა. ალეკპეროვი, საქართველოს მხრიდან კი იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვ. გვარამია, საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე თ. ჯანელიძე, შპს „უდაბნოს“ პრეზიდენტი გ. უსტიაშვილი, შპს „ჰიდროსაინჟგეოს“ მთავარი ჰიდროგეოლოგი ჯ. გაბეჩავა და სხვები.

საბადოს ირგვლივ არსებული ჰიდროგეოლოგიური, ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიკური მასალების შესწავლით და ადგილზე არსებული ვითარების შეფასებით კომისია მივიდა იმ აზრამდე, რომ წყალმიმღები სისტემა, რომლითაც წყალი მიეწოდება აზერბაიჯანის მხარეს (ჯეირან ჩოლის საძოვრებსძ, იკვებება არამდინარეული წარმოშობის წყლებით, ანუ წყლებით, რომელიც ფორმირდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად განლაგებულ სართიჭალის არტეზიული აუზის ფარგლებში და, აქედან გამომდინარე, მას არა აქვს ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსი. ეს დასკვნა გაფორმდა სათანადო ოქმით, რომელსაც ხელი მოაწერეს აზერბაიჯანის მხრიდან ნ. კაზიბეკოვმა და საქართველოს მხრიდან ვ. გვარამიამ.

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. აზერბაიჯანის მხარემ უკმაყოფილება გამოთქვა ასეთი გადაწყვეტილების გამო და საქმის ხელახლა შესწავლა მოითხოვა. გადაწყდა, რომ 1998 წლის 15 თებერვლამდე ერთობლივ კომისიას გადაემოწმებინა ამ წყლის სტატუსი. ქართულმა მხარემ, იმ მიზნით, რომ დასკვნის კომპეტენტურობაში არავის შეეტანა ეჭვი, დამატებით მოიწვია საერთაშორისო დონის ბრიტანელი ექსპერტი ბატონი დ. ფინლეისონი.

1998 წელს კომისია ადგილზე გაეცნო არსებულ ვითარებას და დაასკვნა, რომ, ითვალისწინებს რა ჰორიზონტულ სადრენაჟო სისტემაში წყლის მაღალ დონეს მდინარე ივრის დონესთან შედარებით, განსხვავებას მდინარე ივრის და სართიჭალის აუზის მიწისქვეშა წყლის მინერალიზაციაში, ტემპერატურაში, ქიმიურ შემადგენლობასა და ფიზიკურ მახასიათებლებში, მიწისქვეშა წყლების დინების მიმართულებას ფერდობიდან მდინარისაკენ და არა პირიქით, ეჭვგარეშე ადასტურებს, რომ სართიჭალის წყალმიმღები სისტემისაკენ მიმავალი წყალი არის საქართველოს ტერიტორიაზე დამოუკიდებლად არსებულ ჩაკეტილი ტიპის გეოლოგიურ-სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში განლაგებულ შუა და მეოთხეულ ნალექებში ფორმირებული წყალი, რის გამოც მას არა აქვს ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსი და იგი საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებაა. ეს წყალი მოიხმარება ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო, საქართველოს პარლამენტის 1996 წლის დადგენილების საფუძველზე, ამგვარი წყალმოხმარება ფასიანია.

რაც შეეხება სართიჭალის უბანზე ჰორიზონტული გალერეით შეკრებილი წყლის დებიტს, იგი შეადგენს 120 ლიტრს წამში, რაც დღეღამეში 10.368 კუბური მეტრი წყალია. საექსპლუატაციო მარაგების ეს რაოდენობა დამტკიცებულია „ბ“ სამრეწველო კატეგორიაში 2001 წელს 25 წლის ვადით.

სართიჭალის საბადოს ხელსაყრელი ჰიდრომეტრიული განლაგება, წყლის ქიმიური და ბაქტერიოლოგიური პარამეტრები და სოლიდური დებიტი, საშუალებას იძლევა, რომ იგი მიეწოდოს ქალაქ რუსთავს, რომელიც სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის, ან, ნაწილი მიეცეს რუსთავს, ნაწილი კი აზერბაიჯანს (ჯეირან ჩოლის საძოვრებსძ საქართველოსათვის ხელსაყრელი პირობებით. საქართველოს ხელისუფლების ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ უბრალოდ, თუნდაც ზნეობრივად, გაუმართლებელია, რომ სხვადასხვა სახის გადასახადით გაწამებულ მოსახლეობას წყლის ქვეყანაში ვახდევინოთ გახარჯული წყლის ღირებულება, წელიწადში დაახლოებით 4 მილიონ კუბურ მეტრამდე წყალი კი უფასოდ ვაძლიოთ თუნდაც ჩვენდამი კეთილმოსურნე, ეკონომიკურად განწყობილ ქვეყანას, რომელიც არც ნავთობს და არც გაზს უფასოდ არ გვაწვდის.

მაშინ ქართველები რატომ უნდა გამოვდიოდეთ ზედმეტისიკეთისგან ჭკუაშეთხელებული მდიდარი მეპატრონის როლში? თუნდაც იაფად მივყიდოთ წყალი ჩვენს აზერბაიჯანელ მეგობრებს, რადგან ისინი იაფად გვაძლევენ ნავთობსა და გაზს. ამგვარი სავაჭრო ურთიერთობები ხომ სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს ჩვენს მეგობრობას.

სხვათა შორის, რუსთავისათვის ამ წყლის მიწოდების საკითხი 1999 წელსაც წამოიჭრა, შედგა კიდეც ბიზნესგეგმა და, როგორც ცნობილია, გარკვეული წინასწარი სამუშაოებიც ჩატარდა. შემდეგ კი, ვიღაცეების დანაშაულებრივი გულმავიწყობის გამო, ეს სამუშაოები დროებით შეწყდა და დღეს კვლავ აქტუალურია. მის მოგვარებაზე ამჟამად მუშაობენ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილი და რუსთავის მერი დავით ნადაშვილი.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებაც დაინტერესდება ამ საკითხით და მიიღებს შესაბამის ზომებს. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური დათბობის შეუქცევადი პროცესები და მისგან გამოწვეული გაუდაბნოების ტენდენცია იძლევა იმის პროგნოზირების საშუალებას, რომ მალე სასმელი წყალი ბევრად უფრო ძვირი ეღირება, ვიდრე ნავთობი. ამდენად, არავის არა აქვს საქართველოს ერთ-ერთი ძვირფასი რესურსის — სასმელი წყლის დანაშაულებრივად გაფლანგვის უფლება.

**ჯემალ გაბეჩავა,**
**ექსპერტი-ჰიდროგეოლოგი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;**
**ნუგზარ გოგუა,**
**საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ცენტრ შპს „საინჟგეოს“ გენერალური დირექტორი;**
**როლანდ ჯალაღანია,**
**ჟურნალისტი.**

**ჩვენ**

● ეკონომიკური ბაზრის ე.წ. „თავისუფლება“ საქართველოში სამწუხაროდ, საკმაოდ გამჭვირვალედ და უზოდიშოდ იცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრთა უმრავლესობის ბიზნესინტერესებს, ქვეყნის მოსახლეობის საარსებო ინტერესებისა და, რაც არანაკლებ სავალალოა, საშუალო და წვრილი ბიზნესის უგულებელყოფის ფონზე. სამწუხაროდ!



## ◎ არც თავისუფლება, არც — შემწყნარებლობა!

*ქართული თანამედროვეობის უნიჭიერესმა მეცნიერმა-ეკონომისტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ 2007 წლის პირველ ნომერში (იანვარი-თებერვალი-მარტიძ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „გამორიცხავს კი ბაზარი თანასწორობას?“ (ინგლ.ძ. წერილის ქართული რეზიუმეს დასასრულს ბატონი ვლადიმერი წერს: „საბაზრო თანასწორობის მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა იქნება არჩეული და ცხოვრებაში გატარებული სახელმწიფოს „ხილული ხელის“ მიერ. თავის მხრივ, ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება პოლიტიკური ფილოსოფიის ამა თუ იმ მიმართულებას, რომელთა შორის უტილიტარიზმს, ლიბერალიზმსა და ლიბერტარიანიზმს განარჩევენ. საყურადღებოა, რომ საბაზრო თანასწორობის ეკონომიკური პოლიტიკა სწორედ ლიბერტარიანიზმს ეფუძნება. იმისათვის, რომ მოსახლეობა წინ არ აღუდგეს ეკონომიკურ რეფორმებს, აუცილებელია ისეთი ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელიც დაეფუძნება ლიბერტარიანიზმისა და ლიბერალიზმის გარკვეულ სინთეზს პირველის პრიმატის პირობებში.“*

# საბაზრო ეკონომიკა – „ლიბერტე, ეგალიტე, ფრატერნიტე!“

## ღირსეულად არსებობის ამბიცია ყველას აქვს, ანუ ფიქრები ბატონ ვლადიმერ პაპავას წერილის გამო

**„ლიბერტე, ეგალიტე, ფრატერნიტე!“**

**„თავისუფლება! თანასწორობა! ძმობა!“**

ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ამ ლოზუნგმა სამყარო შეძრა, და არა მარტო კაცობრიობის სოციალური გარდაქმნის, არამედ ახალი ეკონომიკური ურთიერთობის – საბაზრო ეკონომიკის მაუწყებელიც გახდა. საფრანგეთმა მისთვის დამახასიათებელი სითამამითა და გულახდილობით კიდევ ერთხელ განაცვიფრა მსოფლიო იმ დროისათვის დაუჯერებელი მოწოდებით: **„თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!“**

... „და იქმნა ასე!“ (დაბ.ძ.

დედამიწის მოსახლეობის საუკეთესო ნაწილმა ეს მოწოდება დროშაზე დაიწერა და ცხოვრების ახალი წესრიგის – დემოკრატიის დამკვიდრებას შეუდგა.

ყველასთვის ნანატრი დემოკრატიის!

მაგრამ ერთ მერცხალს გაზაფხული არასოდეს მოუყვანია!

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კაცობრიობამ კიდევ მრავალი მონარქისა და დიქტატორის თავნებობა იხილა. მართალია, დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ დემოკრატია ყოველთვის იმარჯვებდა. პროგრესის სხვა გზა არ არსებობს!

ხალხებმა იგი ხელდაკაპიწებული შრომითა და რუდუნებით მოიპოვეს. თუმცა მსოფლიო სოციალურად და ეკონომიკურად დღესაც ჭრელია. უნდა ვაღიაროთ, ამ უთანაბრობის მიზეზთა მიზეზი ეკონომიკაა!

მაგრამ საოცარი ის არის, რომ „ლიბერტე, ეგალიტე, ფრატერნიტე“ ასე თუ ისე, მსოფლიოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში, ანუ, როგორც მას ვუწოდებთ, ეკონომიკაში, მაინც დამკვიდრდა. მიაჩნიათ, რომ დამკვიდრდა.

დამკვიდრდა **თავისუფალ და ყველასთვის თანაბრად თანასწორ ეკონომიკაში!**

დახურული და უტილიტარული ეკონომიკა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, უკვე არსად არსებობს. ქვეყნების ეკონომიკები ყველგან საბაზრო პრინციპებს ეფუძნება. მოწინავეებშიც და ჩამორჩენილებშიც!

დიახ, ჩამორჩენილებშიც, რადგან **საბაზრო ურთიერთობას ბედნიერება ყველასთვის არ მოაქვს!**

საბაზრო ეკონომიკაში მისი ყველა მონაწილე, თეორიულად, სრულიად თავისუფალი და თანასწორია! ბაზარი მათ ისე ღებულობს, როგორებიც ისინი უფალმა შექმნა! არსებობისათვის აქ ყველა სუბიექტი თანასწორ პირობებში იბრძვის!

ბაზარი თავის ყველა მონაწილეს იდეალურად თანაბარ პირობებს უქმნის, ყველას, ვისაც კი, პირველ რიგში, ბიზნესი და სხვა ნებისმიერი საქმიანობა სურს. **ნებისმიერი!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველას, ვისაც არსებობა სურს!

დიახ, პირობები თანაბარია, მაგრამ...

**მაგრამ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან!** განსხვავდებიან გონებითა და უნარით, ხასიათით და შესაძლებლობებით! დიახ, ერთი სიტყვით, ყველაფრით! და ამ ყველაფერში მართლაც **ყველაფერი(**!!ძ იგულისხმება.

საბაზრო ეკონომიკა ამ ყველაფრით განსხვავებულ სუბიექტებს მათთვის კუთვნილ ადგილს მიუჩენს: ბაზარი ერთისთვის (უნარიანისთვისძ, ჩვენი პრეზიდენტის ჟარგონს თუ გამოვიყენებთ, გაჯეჯილებაა, მეორისთვის (უუნაროსთვისძ – გალატაკება და კრახი. და ეს სრულიად ბუნებრივია: ხომ არ შეიძლება ყველა წარმატებას აღწევდეს, თუმცა, ცხადია, **ღირსეულად არსებობის ამბიცია ყველას აქვს**.

ბაზარი ჩვენს პირობებში არას დაგიდევს სოციალიზმის მიერ გონებრივად დასახიჩრებულ მოსახლეობას, რომელმაც დღეს თავისი პრაქტიკული უუნარობა და სილატაკე შემთხვევითობას დააბრალა და სხვისი ქონების შემყურე გახდა. ეს მან უწოდა საბაზრო ეკონომიკას **„ველური კაპიტალიზმი“**.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. უფრო სწორად, ეს უპირატესად თეორიაა და, ამიტომ, პრაქტიკული სამეურნეო ცხოვრების მხოლოდ ერთი და ისიც ფეერიული ნაწილი!

პრაქტიკული ცხოვრება ბაზრის ამ თავისუფლებისა და თანასწორობის იდეალებისაგან აშკარად განსხვავდება! და ამაში დიდ როლს სახელმწიფოს მიერ დამყარებული ე. წ. „წესრიგი“ („ხილული ხელი“ძ თამაშობს, რომელმაც ბაზარს „ველური ბუნების“ გამოვლენის საშუალება არ უნდა მისცეს.

ეს „წესრიგი“ კანონებისაგან შედგება.

მაგრამ ბიზნესს, რომელიც ბაზრის არსებობის დედააზრია, ო, როგორ არ უყვარს ... წესრიგი და კანონები!

მერე რა, რომ კანონი ქვეყანაში დემოკრატიულ ინსტიტუტებს აძლიერებს და მათი მეშვეობით ბაზრის „საქმიანობაში“ (ქაოსშიძ ერთგვარი ორგანიზებულობა და გამჭვირვალობა შეაქვს, გაონავრებული ორაგულებისგან „წვრილ-წვრილა“ თევზებს (წვრილ და საშუალო ბიზნესსძ იცავს.

ბაზარი ესწრაფვის შეულამაზებელ და გაუშალაშინებელ ბუნებრივობას, ძლიერი უფრო ძლიერდება, სუსტი კი უფრო სუსტდება. ასე ხდება ბუნებაში და რატომ უნდა იყოს სხვანაირად ადამიანთა საზოგადოებაში?!

ამიტომ ყველა ბიზნესმენი, მით უფრო, თუ ის ხელისუფლებაში მოხვდა, მაკონტროლებელ-სახელისუფლებო სტრუქტურების გაუქმება-შემცირებას და ასეთი „ხელშემშლელი“ კანონების გაუქმებას ცდილობს. ცდილობს ყველა საშუალებით და მეტწილად აღწევს კიდევაც საწადელს.

რადგან სახელმწიფოს „ხილულს“ გარდა „უხილავი ხელიც“ აქვს!

აი, „უხილავი ხელის“ სულ ახალხალი, ცინცხალი ქართული მაგალითი.

საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 3 ივნისს მიიღო კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, რომელიც არსებითად არაფერს არ აწესრიგებს. ამ კანონის მე–6 მუხლის თანახმად შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებაა. კანონის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტით კი ეს სააგენტო მიჩნეულია **„მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორგანოდ“**, რაც აშკარა შეცდომაა **(როგორ შეიძლება მთავრობისგან დამოუკიდებელი იყოს სამთავრობო ორგანოს – სამინისტროს – დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურა, რომლის უფროსს მთავრობის თავმჯდომარე ამტკიცებს!ძ. მაგრამ ეგ არაფერი, რომ „სააგენტო“ მკვდრადშობილი სტრუქტურაა.**

**მთავარი ისაა, რომ ამ უთავბოლო და საკმაო ჩიქორთულად შედგენილი კანონის მე-16 მუხლით გაუქმდა საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი კანონები: საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (მოქმედებდა 1996 წლიდანძ და კანონი „ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ“ (1993 წლიდანძ, აგრეთვე „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედებისთვის აუცილებელი ნორმატიული აქტების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის ბრძანებულება.**

**ამრიგად, ფაქტობრივად გაუქმდა ჯერ კიდევ ნორჩი ქართული ბაზრის მომწესრიგებელი კანონების პაკეტი. მომწესრიგებელი, მაგრამ, ამასთანავე, ცხადია, ბიზნესმენთა „ხელშემშლელი“ კანონები.**

რა ვუყოთ, რომ როგორც ანტიმონოპოლიურ, ისე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურებს აქა-იქ გამომძალველები აეტმასნენ და ბიზნესმენები „შეაწუხეს“. განა დღეს, ასე ვთქვათ, „გაჯეჯილებულ“ საფინანსო კონტროლის სამსახურის მუშაკებს არაფერი „ეშლებათ“? მაგრამ მრავალ მათგანს ხომ სანიმუშო „დაჭერებს“ უწყობენ და, მჯერა (მინდა მჯეროდეს!ძ, მათი მომდევნო თაობა თავის მოვალეობას უფრო „სუფთად“ შეასრულებს!

ხელისუფლება კი რა გზას დაადგა? **ვითომ გამომძალველობის მოსასპობად საბაზრო ეკონომიკისთვის აუცილებელი სახელმწიფო ეკონომიკური ორგანოები გააუქმა!**

დალოცვილებო! ამ გზას თუ გაჰყევით, **ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მრავალი შტო დღესვე გასაუქმებელი გაგიხდებათ!**

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა ნორმატიული აქტების გაუქმების ინიციატორი გახლდათ მთავრობაში ეკონომიკის სფეროს კურატორი (მინისტრთამინისტრიძ, რომელმაც ასევე იწინასწარმეტყველა 2-3 წელიწადში ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაუქმებაც, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერ მოახერხა.

ასე რომ, სხვა ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში არ ვიცი და ჩვენთან, საქართველოში, საკმაოდ ენერგიულად ხორციელდება მისწრაფება ბაზრის „სრული თავისუფლებისაკენ“!

ერთი ცხადია, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობისას, თავის დროზე, უცხოეთში, ბაზრის „სრული განთავისუფლებისთვის“ სახელმწიფოები ასე რადიკალურად არ იბრძოდნენ, რადგან **ბაზარი იმთავითვე ავლენდა მტაცებლურ და დაუნდობელ ხასიათს. ამიტომ მათ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაც სჭირდებოდათ (ბევრს ახლაც აქვსძ და მომხმარებელთა ინტერესებსაც ენერგიულად იცავდნენ!**

**იქნებ იმიტომ, რომ იქ საზოგადოებრივი პროგრესის ყველა ეტაპი ბუნებრივად მიმდინარეობდა?**

არადა, მართლაც, იმ სახელმწიფოებს არავითარი სოციალისტური „გამოცდილება“ ხელს არ უშლიდათ. ჩვენსავით გზააკვალაბნეულები კი არ მიცოცავდნენ. იქ **ისე კეთდებოდა, როგორც საქმისთვის, სახელმწიფოსა და ხალხისთვის იყო საჭირო. აქ კი, ჩვენთან, მაქსიმალურად ისე კეთდება, როგორც ეს იმ პიროვნებას სურს, ვისაც თავისი ბიზნესისთვის სჭირდება და ლობისტობაც ძალუძს!**

**ასე რომ, ჩვენთან სახელმწიფოს „ხილული ხელი“ ბაზრის უთანასწორობას კი არ აქარწყლებს, პირიქით, ერთობ გამჭვირვალედ იცავს „ონავარ ზვიგენთა“ თავისუფლებას.**

**ზემოთ ამ ხელს „უხილავი“ ვუწოდე. ბოდიშს მოვიხდი! ჩვენთან ყველაფერი ძალიანაც ნათელი და გამჭვირვალეა!** სხვას რას დაარქმევ კაცი შარშან ჩვენს პარლამენტში დატრიალებულ გაჭიანურებულ სცენარს, რომელიც **სახელმწიფო საბაჟოს გაკოტრებითა და ახალი კერძო საბაჟოს გაძლიერებით** დამთავრდა და რომელსაც, ვითომ ერთი პიროვნების პარლამენტარობა „შეეწირა!“ არც იმას მოერიდა ვინმე, სცენარის ავტორებიც და მათი ინტერესებიც რომ ნებით თუ უნებლიედ სააშკარაოზე იქნა გამოტანილი!

**რა თქმა უნდა, ეკონომიკური ბაზრის ე.წ. „თავისუფლება“ საქართველოში სამწუხაროდ, საკმაოდ გამჭვირვალედ და უზოდიშოდ იცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრთა უმრავლესობის ბიზნესინტერესებს, ქვეყნის მოსახლეობის საარსებო ინტერესებისა და, რაც არანაკლებ სავალალოა, საშუალო და წვრილი ბიზნესის უგულებელყოფის ფონზე. სამწუხაროდ!**

აკი თავად ბატონი ვლ. პაპავა დასძენს თავის წერილში: **სახელმწიფოს „ხილული ხელი“ არ გამორიცხავს, რომ სინამდვილეში იგი თავად იყოს მანკიერი, თავად აფერხებდეს საბაზრო თანასწორობის დამკვიდრებას.**

**სწორედაც!**

**როგორც ჩანს, ასე დიდხანს გასტანს!**

არანაკლებ სამწუხაროა, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, ჯერჯერობით, პოლიტიკური ფილოსოფიის არცერთ კლასიკურ მიმართულებას და არც მათ სიმბიოზს არ დაგიდევთ. ისე კი, ცხადია, **კარგი იქნებოდა თავისუფლებისა და შემწყნარებლობის სინთეზი, თავისუფლების პრიმატით!**

მაგრამ ვინ უნდა მოაწესრიგოს ეს?

**ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში არც „თავისუფლებაა“ (ცხადია, ყველასთვის!ძ და, რაც განსაკუთრებით სავალალოა, არც „შემწყნარებლობა“! სხვა სიტყვებით: არც ლიბერტარიანიზმია და არც ლიბერალიზმი! კაპიტალისთვის უცხოა საყოველთაო თავისუფლება, ურთიერთ დანდობა, ზნეობა და კეთილშობილება!**

ერთი სიტყვით, **„რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი“ (ეკლ. 1.9ძ.**

**ამირან გაბისონია**

№ 129. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2007 წელი.

# ცხოვრება

● მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საგადასახადო ქვითრებიდან მუქარისა და დაშინების ტექსტის ამოღება და მათ ნაცვლად კანონიერი, მაგრამ ცივილიზებული და ჰუმანური შინაარსის ტექსტის ჩაწერა



◎ რა დღეშიც ვართ

# ხელისუფლება სუქდება, ხალხი ჭლევდება

**საქართველოში დღევანდელ გაუსაძლის ყოფასა და გასაჭირზე იმდენი იწერება პრესაში და გადაიცემა ტელეარხებით, რომ ამის კითხვა და მოსმენა თვით გაჭირვებულებსაც უკვე ყელში ამოუვიდათ. ადამიანებმა აღარ იციან, ყურები როგორ დაიხშონ ან თვალები რით აიხვიონ, რომ ირგვლივ მყოფთა შესაბრალის ყოფას როგორმე თვალი აარიდონ. ამ დროს კი ხელისუფლებას, რომლის გონიერებისა და წყალობის მადლი უტყუარად ატყვია ხალხის დამაქცევარ ამ რეალობას, თავი ყინჩად უჭირავს, ისე გაფხორილი დააბიჯებს ჩვენს ღვთივკურთხეულ მიწაზე, როგორც მეზობლის მამალი ეზოში მოკაკანე დედლებთან.**

და რადგან ხელისუფლებას მამლაყინწობა უფრო ეხერხება, ვიდრე ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, მას ვერც იმაში გაამტყუნებ, რომ ხეზე შემხტარმა დეზებით მაგრად შემოჰკრას და სილატაკეში ჩაყურყუმალავებულ-დაბანგული ხალხი დილას საარით (ყიყლიყო!) გამოაფხიზლოს. ეს ადგილზე საპიაროდ, თორემ უცხოეთში საფრენად ჩვენი სამთავრობო მამლები თანამედროვე ულტრატექნიკასაც მშვენივრად იყენებენ, რეზიდენციებსა და დარბაზებში, კონფერენციებსა და სამიტებზე მეგობარ კოლეგა-პარტნიორებს ქართული ეკონომიკისა და დემოკრატიის ჯერ არნახული, გაუგონარი წარმატებებით უბრუებენ თავს.

ეს იქ – უცხოეთში, აქ კი – საქართველოში რეალობა სულ სხვა ფერებითა და განზომილებებით წარმოგვიდგება: ქვეყანა მოუცავს მასობრივ უმუშევრობასა და სილატაკეს, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ჯიბეგახვრეტილია, დედაქალაქის (და არა მარტო დედაქალაქის) ქუჩები გადაჭედილია მათხოვრებით. პერმანენტული ინფლაცია დაუნდობლად ღრღნის როგორც ქვეყნის ეკონომიკას, ისე ხალხის საოჯახო ბიუჯეტს. ფასები თითქმის ყოველდღიურად მატულობს, რასაც რეგიონებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა და უცხოეთიდან შემოვარდნილმა ღორის ჭირმაც შეუწყო ხელი. სოფლად მცხოვრებმა ათეულ ათასობით ოჯახმა აუნაზღაურებელი ზარალი ნახა, ბევრმა წლის სარჩო დაკარგა და მშიერმწყურვალი დარჩა.

ამას ემატება საწვავზე, წყალზე, მომსახურებაზე ტარიფების სისტემატური ზრდა, რაც ისედაც გალატაკებულ მოსახლეობას კიდევ უფრო ალატაკებს და ფაქტობრივად გადახდისუუნაროს ხდის. ახალ ინფლაციურ შემოტევას ეკონომიკური ექსპერტები მუნიციპალური ტრანსპორტის გაძვირების შემდეგ ელოდებიან– გაორმაგებული ტარიფი პირველი ივლისიდან შევიდა ძალაში. ძნელი გამოსათვლელი არ არის, რომ ასეთი გაძვირების შემდეგ, ის ვინც დღეში რამდენიმე ტრანსპორტით სარგებლობს, ხელფასი კი მხოლოდ 100-120 ლარი აქვს, იძულებული გახდება, სამუშაო მიატოვოს და უმუშევართა რიგები ახალი ნაკადით შეავსოს.

პროგნოზი სხვა მხრივაც „დამაიმედებელია": სამარშრუტო მიკროავტობუსების ტარიფი უცვლელიც რომ დარჩეს (ვარაუდობენ, რომ ისიც მოიმატებს), მარტო ავტობუსებითა და მეტროთი მგზავრობის გაძვირება ქვეყანაში მინიმუმ 4-5 პროცენტიან ინფლაციას გამოიწვევს. აკლდა ინფლაციას გაფურჩქვნის საფუძველი და დროულად მიუსწრეს.

რაში ენაღვლებათ ხალხის წუხილი. მთავრობის წევრებს, დეპუტატებს, ჩინიან თუ უჩინო ჩინოვნიკებს იმხელა ხელფასები აქვთ, ინფლაცია მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებს (ხელფასების გარდა ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებს და წილებს) ოდნავადაც ვერ შეარყევს. აი პენსიონერებს რომ ინფლაცია პურის ფულსაც წაართმევს, ამაზე თურმე მთავრობამ კი არა, ჯონდი ბაღათურიამ უნდა იზრუნოს. იგი პენსიონერთა ხელმოწერებს შეაგროვებს და აიძულებს ხელისუფლებას, მათ საარსებო მინიმუმის ტოლფარდი პენსიები დაუნიშნოს.

მწარე სიბერის მქონე პენსიონერთა ყოფას ხელისუფლების მხიდან სამარცხვინო ცინიზმიც დაემატა. განა მთავრობას ხელწერილი არზა რომ არ მიართვან, ისე ვერ უნდა ხვდებოდეს, რომ 38-ლარიანი პენსიონერები ფაქტობრივად სიკვდილისთვის არიან განწირულნი?! და განა მარტო პენსიონერები; ანალიტიკოსთა მონაცემებით, ბოლო წლებში ქვეყანაში ფასები მინიმუმ 1,5-ჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვარაუდობენ, რომ ინფლაციის ზრდის პარალელურად, სოციალურად დაუცველ პირთა შემოსავლები ახალ ფასებს ველარ გასწვდება და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მყოფებს კიდევ ათასობით ადამიანი მიემატება.

ამის მიუხედავად, ხელისუფლება საკუთარი ხალხის გადარჩენაზე კი არა, თურმე ახალი გადასახადების შემოღებაზე ფიქრობს. როგორც უკვე ცნობილი გახდა პარლამენტში შესულია კანონპროექტი, რომელიც სასაფლაოების პრივატიზებასა და მიცვალებულთა პატრონთათვის ყოველთვიური გადასახადის დაწესებას ითვალისწინებს. (!) იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, რაც ვერ გაიმეტა მთავრობამ ცოცხალ პენსიონერთათვის იმას მიცვალებულებს მაინც არ დააყვედრის და გადასახადს მათი იმქვეყნიურ სტატუსისა და დამსახურების მიხედვით დააწესებს...

ამის შანსს იძლევა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, რომლის ტემპები თურმე ყოველწლიურად მატულობს. როგორც წესი, ქვეყანაში როცა ფასები მატულობს, სიღარიბის დონეც იზრდება. თუ სტატისტიკის დეპარტამენტს დავუჯერებთ, ჩვენთან გამონაკლისი ხდება –ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში სიღარიბე 0,8 პროცენტით შემცირდა. და ეს მაშინ, როცა 2006 წელს წინა წელთან შედარებით 97–პროცენტიანი ინფლაცია დაფიქსირდა, ხოლო შემოსავლები სულ რაღაც 1,8 პროცენტით გაიზარდა.

რას ვიზამთ, შეიძლება ოფიციალური სტატისტიკის სიწრფელეში ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ თუ ამავე ზღაპრებს იმეორებენ ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერი, მათაც არ დავუჯეროთ? ბატონმა ზურაბ ნოღაიდეზმა ამ ორი კვირის წინათაც დაგვმოძღვრა: წელს პირველ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ქვეყანაში 11,4 პროცენტით გაიზარდა და წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 15 პროცენტს მიაღწევსო. პრემიერ-მინისტრს რატომღაც არ განუმარტავს, რომ ქვეყანაში მშპ-ის მხოლოდ ნომინალური ზრდა დაფიქსირდა და არა რეალური. მას არც ის უთქვამს, რომ ბოლო პერიოდში შექმნილი მზარდი მატერიალური სახსრები ხმარდება გზების მშენებლობას, განათებას, მოპირკეთებას, სპორტული კომპლექსებისა და მოედნების გახსნას და ის დაბალ სოციალურ ფენამდე ველარ აღწევს.

რა თქმა უნდა, არც ის უთქვამს, რომ ბიუჯეტის მსუქანი ლუკმა უპირველესად ხელისუფლების მსუქანი ჯგუფის ულუფაში ვარდება, ისედაც გალატაკებული ხალხი კი კიდევ უფრო ღატაკდება. ამას პრემიერს ვერც მოვთხოვდით, ხალხის სათქმელი, ეტყობა, თავად ხალხმავე უნდა თქვას.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ კონკურსი

## „უნიმშენი" ააშენებს

**ორთაჭალაში 150-საწოლიანი მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილიანი ჰოსპიტალის მშენებლობის უფლების მოსაპოვებლად შეზღუდული პასუხისმგებლობების საზოგადოებებს „ავერსს", „ჯი-პი-სის", „ნიუ ჰოსპიტალსა" და „უნიმშენს" შორის პაექრობაში, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების №8 პროექტის ფარგლებში გაიმართა, „უნიმშენმა" გაიმარჯვა.**

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განაცხადეს, გენერალური გეგმის თანახმად, ახალი საავადმყოფოს აშენების სანაცვლოდ, შპს „უნიმშენს" სამი ობიექტი – სს „ოფტალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი", შპს „თბილისის შალვა ქორიძის სამშობიარო სახლი №4" და შსკ „თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი გადაეცემა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „უნიმშენმა", ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად, საბანკო გარანტიის სახით ყველაზე მეტი თანხა – 16 მილიონი დოლარი წარადგინა.

**დავით ლაშხი**

◎ გვწერენ

## იქნებ, უკეთ და ხალხისთვის ხელსაყრელად დაგვედგინა გადასახადების გადახდის ვადები?




**ელექტროენერგიით მომარაგება, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა, ფაქტია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დარგის ხელმძღვანელობამ ჯერჯერობით მაინც ვერ მოაწესრიგა (საერთოდ, მოისურვა კი ეს?) საქმე იმგვარად, რომ მოხმარებული ენერგიის გადახდის ვადები შეესაბამებოდეს ხელფასებისა და პენსიების მიღების ვადებს, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას, ზოგჯერ კი თელასის წარმომადგენლებთან ფიზიკურ შეხლა-შემოხლასაც იწვევს.**

ლაპარაკია მოსახლეობისთვის კომუნალური გადასახადების ვადების არახელსაყრელობაზე. მაგალითად, დახარჯული ელექტროენერგიის გადახდის ბოლო ვადად თელასს დადგენილი აქვს მოცემული თვის 22-25 რიცხვები.

ეს ის დროა, როცა ხელფასებსა და პენსიებზე მყოფ მოსახლეობას ჯერ კიდევ არ აქვს ამ თვის სარგო მიღებული, არ გააჩნია დანაზოგი და დენის გათიშვის „მსხვერპლი" ხდება. თელასის მკაცრი გაფრთხილება კი, რომელიც ქვითარზეა მიწერილი „თუ გადასახადი 23-მდე არ დაიფარება დენის მიწოდება შეგიწყდებათო", ბევრაზე ფეხის დაჭერად აღიქმება პენსიის შემყურე კაცისთვის და მას სამართლიან საპროტესტო განწყობასაც უყალიბებს...

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საგადასახადო ქვითრებიდან მუქარისა და დაშინების ტექსტის ამოღება და მათ ნაცვლად კანონიერი, მაგრამ ცივილიზებული და ჰუმანური შინაარსის ტექსტის ჩაწერა. თუნდაც ასეთისა: „ელექტროენერგიის (ასევე სხვა სახის გადასახადის) გადახდა სავალდებულოა მიმდინარე თვის ბოლომდე, უკიდურეს შემთხვევაში კი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე, ამის შემდეგ გაუფრთხილებლად შეგიწყდებათ ენერგიის მიწოდება".

გვჯერა, რომ ამით ბევრს გაუგებრობასა და უსიამოვნებას აიცილებს თავიდან მომწოდებელიც და მომხმარებელიც, ამიტომ ამ საქმის დროულად მოგვარება აუცილებელია მით უფრო, რომ ამის გაკეთება ძნელი სულაც არ არის და არც ზარალის მომტანია.

დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ თელასი ასევე სხვა სათანადო ორგანიზაციები დაფიქრდნენ ამ საკითხზე და საჭირო შესწორებები შეიტანონ გადასახადების ამოღების რეჟიმებში.

**პატივისცემით:**

**რევაზ კილაძე, პროფესორი; ბეგლარ გოგალაძე, პროფესორი; ზურაბ გრძელიშვილი, მუშა; ელდარ ამაშუკელი, ეკონომისტი; ზურაბ შაუთიძე, ეკონომისტ-ფინანსისტი; ნანა კარანაძე, მეცნიერი მუშაკი; ეთერ ბაკურაძე, ექიმი; პეპელა ბრეგვაძე, მედიცინის დამსახურებული მუშაკი.**

◎ ინფორმაცია

## მოსახლეობას შეშა ექნება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის დავით ტყეშელაშვილის განმარტებით, ადგილობრივ მოსახლეობას საშეშე მერქანთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნება, რადგან ტყის გარკვეული მასივები კერძო საკუთრებაში გაიცემა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს, შეშაზე მოთხოვნა დაიკმაყოფილოს.**

– ტყის მასივების გაცემის მთავარი მიზანია, რომ საშეშე მერქანზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ. დღემდე ტყის მასივებს და ნებართვებს ცენტრალური ხელისუფლება გასცემდა, თუმცა ამიერიდან ანალოგიური ნებართვის გაცემა ადგილობრივ ხელისუფელბასაც შეეძლება, – განაცხადა ტყეშელშვილმა.

მინისტრის განმარტებით, საშეშე მერქნის მოპოვებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები კონფლიქტურ რეგიონში არსებობს.

– ახალგორში გარკვეული პრობლემებია, რადგან ტყის მასივს კოკოითის რეჟიმი აკონტროლებს, თუმცა ვვარაუდობთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შეშით დაკმაყოფილებისას პრობლემები არ შეგვექმნება, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 129. ხუთშაბათი. 5 ივლისი. 2007 წელი.

# დღევანდელობა

ცას ხომ ჯერ არვინ გამოკერებია და, თუ ეს დაუმსახურებია, ვერც მომავალი თაობების რისხვას გაქცევია ვინმე!
ძალიან ხშირად საფლავიდანაც მოდის ხმები. ყური დაუგდეთ მათ, ვითომცდა სინდის-ნამუსის გარდა ყველაფრის გაყიდვის დიდოსტატნო!



ერიჰა!!!

## ეტყობა, გახურებული „პრივატიზაციისას" ზოგიერთებს სინდისიც „შემოხარჯვიათ", რაკი სასაფლაოებზე მიმდგარა ჯერი!

**საინფორმაციო საშუალებებით სასაფლაოების პრივატიზების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ხელისუფლებამ მეორე დღესვე უარყო, თუმცა არსებობს ეჭვი, რომ ამ პროცესის შეჩერება მხოლოდ დროებითია და საკითხი დღის წესრიგში კვლავაც დადგება. ვის დასჭირდა ამ ინფორმაციის გავრცელება, ან რატომ შეიკავა თავი ხელისუფლებამ, ამაზე ახლა აღარავინ ლაპარაკობს, მაგრამ, როგორც ჩანს, საზოგადოებრიობამ ეს აჟიოტაჟიც წინასწარ გზავნილად მიიღო...**

სადღეისოდ საქართველოში უკვე თითქმის ყველაფერი იყიდება, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის თქმისა არ იყოს, სინდის-ნამუსიც კი. დიდი სიხარულით და ზარ-ზეიმით ვუთმობთ უცხოელებს იმ სიმდიდრეს, რაც ჩვენმა წინაპრებმა ბრძოლით, სისხლის ფასად შეინარჩუნეს. თუ საუკუნეების განმავლობაში ყოველი გოჯი ქართული მიწის დაცვას უამრავი ქართველის სიცოცხლე ეწირებოდა, ახლა ამ მიწას უცხოელები ეპატრონებიან. მილიონები იხარჯება სასტუმროების აშენება-მოწყობაში, სადაც ჩვენი მოქალაქეები „შავ მუშებად" უნდათ რომ აქციონ. არადა, ქართველების ინტელექტუალური პოტენციალი უფრო მეტს რომ სწვდება! ამას იქნებ ჯობდეს, ქარხნები და ფაბრიკები აგვემოქმედებინა? თუმცა რაღას ავამოქმედებთ, თითქმის ყველაფერი გაყიდულია...

როგორც ჩანს, ახლა გასაყიდი აღარაფერი დარჩა, ამიტომ ჯერი სასაფლაოებზეც მიდგება (თუ უკვე მიდგა?ძ

ნეტავ, ვინ იქნება ის „მადლიანი", ვინც „უმუშევარ, უფულო და უმოძრაო" მიცვალებულებს იყიდის და გადასახადს დაუწესებს?

რა იქნება ეს, მავანთა მტკიცებით, „საფლავების დაცვა" თუ საძვალეებით წამოწყებული ბიზნესი?

რამდენი დაუჯდება თითოეულ მიცვალებულს, უფრო სწორად, მის ჭირისუფალს მარადიული განსასვენებლის „ქირა"?

ან, ამ ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, „მეპატრონე" რომელ ინსტანციაში უჩივლებს გარდაცვლილის სულს თუ მის ჭირისუფალს, ან ვისი საშუალებით დაკითხავენ ამ „სასამართლოში" მიცვალებულს მედიუმების მეშვეობით?

ან იქნებ ამქვეყნად მაცხოვრის მეორედ მოსვლას დაელოდებიან?

თუმცა როგორც ამბობენ, „ურჩი გადამხდელის" ცხედარს ამოთხრიან და მის ადგილს სხვა მიცვალებული დაიკავებს

ღმერთო, დაგვიფარე, ამას რას მოვესწარით!

დღეს მიცვალებულის დამარხვა ოჯახს ძალიან ძვირი უჯდება, ალბათ, ამიტომ არის, რომ ჭირისუფალს გლოვის ნაცვლად ფიქრი ათას წვრილმანზე უწევს, თუმცა ქრისტიანი კაცი მიცვალებულის გასაპატიოსნებლად მთელ ქონებასაც არ დაიშურებს, მაგრამ, თუ უგროშოდ დარჩენილს საფლავის ქირის გადახდასაც მოსთხოვენ, მაშინ?

იქნებ საფლავების გაყიდვამდე ხელისუფალთ „მიცვალებულთა სოციალური დაცვის პროგრამაც" აემუშავებინათ?

დარწმუნებული ვარ, მასში საქართველოს მიცვალებულთა 99 პროცენტი მოხვდებოდა.

ამ „იდეის" უკან მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართული მიზნები ხომ არ იმალება, ან ხომ არ ცდილობს მავანი, ქართველებს მიცვალებულის ქრისტიანულ დამარხვაზე უარი ათქმევინოს და სხეულის კრემაცია მოსთხოვოს?..

გასაკვირი აღარაფერია იმ ქვეყანაში, სადაც სიწმინდეებს ხელჰყოფენ, ტაძრებს ანგრევენ, პასუხს კი არავინ აგებს.

ხელისუფალნი მიდიან და მოდიან, ადამიანის ცხოვრების ყველაზე დიდი მსაჯული კი დროა, ხოლო ყველაზე მძიმე განაჩენი — მომავალი თაობებისგან განკითხვა.

სანამ ასეთ „იდეებს" მოიფიქრებდეთ და გადაწყვეტდეთ, იქნებ ჯერ ამაზეც დაფიქრებულიყავით კარგად, ჩვენი ყოფის ბატონებო!

ცას ხომ ჯერ არვინ გამოკერებია და, თუ ეს დაუმსახურებია, ვერც მომავალი თაობების რისხვას გაქცევია ვინმე!

ძალიან ხშირად საფლავიდანაც მოდის ხმები. ყური დაუგდეთ მათ, ვითომცდა სინდის-ნამუსის გარდა ყველაფრის გაყიდვის დიდოსტატნო!

**ლელა მანაგლიშვილი**

გლობუსი

## ჩვენი არაშორეული

**„ნებისმიერ ერს აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ დაამყაროს ურთიერთობა ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან, მაგრამ ერთი კია, უნდა ვიყოთ ფრთხილად, როგორც ნათქვამია – კაცი ორმოს გაურბოდა და უფრო ღრმა ჭაში აღმოჩნდაო"**

ეს სიტყვები ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ეკუთვის, რომელმაც თბილისში ყოფნის დროს ჩვენი გაზეთის კორესპონდენტ თამარ შაიშმელაშვილისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. მინისტრის მოადგილის მანუჩეჰრ მოჰამადის სიტყვები ქვეყნის მიერ განვლილი მშფოთვარე ცხოვრების შედეგად მიღებული გამოცდილების ამსახველია. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული, ირანმა მკვეთრი, ისტორიული ნაბიჯი გადადგა. ისტორიას ჩაბარდა, ერთი შეხედვით, დამოუკიდებელი, მაგრამ აშშ-სა და დასავლეთზე დამოკიდებული ცხოვრება. ირანის ისლამური რესპუბლიკა ახალ ცხოვრებას აშენებს.

ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის დეფიციტი მსოფლიო მასმედიაში ნამდვილად არ შეინიშნება. ქვეყნის ხელისუფლების მიერ აღებული დამოუკიდებელი და დასავლეთისთვის ერთობ გამომწვევი კურსი აშშ-ს სერიოზული კრიტიკის ქარ-ცეცხლში აქცევს მას. დასავლური ინფორმაციის ანტიირანულმა განწყობამ, თითქმის ერთი და იგივე ვიდეოკადრების ჩვენებამ, სადაც წინა პლანზეა წამოწეული ეგზალტირებული მუსლიმანური მოსახლეობის საბრძოლოდ შემართული მარჯვენა, გამუდმებულმა განცხადებებმა, რომ ირანი მხარს უჭერს და ასაზრდოებს მსოფლიო ტერორიზმს, თავისი გაიტანა.

მსოფლიო საზოგადოებაში სერიოზული შიში გაჩნდა ირანისა და მისი ხელისუფლების მიმართ, რომელიც თანამიმდევრულად მიისწრაფის საკუთარი ბირთვული ენერგეტიკის განვითარებისაკენ. დასავლელი პოლიტიკოსების და მასმედიის მიხედვით ირანი მალულად ამზადებს ბირთვულ იარაღს, რაც დასავლეთისთვის არასანდო ირანის



ხელისუფლების ხელში შესაძლოა დაემუქროს მსოფლიო მშვიდობას.

ირანის ხელისუფლების დაჟინებული განცხადებები, რომ ირანს ბირთვული ენერგია მხოლოდ სამშვიდობო საქმეებისათვის, ენერგეტიკული კეთილდღეობისთვის ესაჭიროება, არადამაჯერებლად ეჩვენებათ აშშ-ს და მის მოკავშირეებს. აქედან გამომდინარე, კრიტიკასთან ერთად კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამენ, ისეთებს, როგორებიცაა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღება და სხვა. დასავლური პრესის ფურცლებზე იშვიათობას არ წარმოადგენს ამერიკელთა მიერ ირანის ბირთვულ ობიექტებზე საჰაერო თავდასხმის გეგმის გამოქვეყნებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ისრაელის პრესა.

ირანის ხელისუფლების მიერ გატარებულმა არაპოპულარულმა გადაწყვეტილებამ ქვეყანაში ბენზინის მოხმარებაზე შეზღუდვების დაწყების თაობაზე, რამაც მოსახლეობის მკვეთრად ნეგატიური გამოსვლები გამოიწვია, თავის მხრივ დაადასტურა ირანის ხელისუფალთა მიზნების მართებულობა ბირთვული ენერგეტიკის შექმნასთან დაკავშირებით.

დასავლელი ექსპერტები ირანის ბირთვული პროგრამის განხილვისას ყოველთვის სვამენ კითხვას – რაში სჭირდება ირანს ბირთვული ენერგია, როდესაც ნავთობის მარაგი თავზე საყრელი აქვსო. ირანი მდიდარია ნავთობითა და გაზით, მაგრამ ენერგოშემცველების ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის მილიონობით დოლარი, ახალი ტექნოლოგიები, ახალი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნებია საჭირო. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დახარჯული ნავთობის ადგილს სხვა ენერგოშემცველები არ იკავებს. მას გაფრთხილება სჭირდება. რაც არ უნდა განუსაზღვრელი იყოს ნავთობის მარაგი, ის ოდესმე ამოიწურება. აქედან გამომდინარე, ძნელია, შეედავო ირანის ხელისუფლებას ბირთვული პროგრამის განხორციელებაში.

თანამედროვე მსოფლიოში ამა თუ იმ ქვეყნის და მისი ხელისუფლების მუქ ფერებში დახატვაში უდიდესი წვლილი შეაქვს მასმედიას, პროპაგანდას, PR-ს. ვინც კარგად ფლობს მე-20 საუკუნის ბოლო წლებისა და 21-ე საუკუნის ამ იარაღს, წარმატებულიც ის არის. პროპაგანდისტული მანქანა აშშ-ს და მისი მოკავშირეების ხელშია. ამერიკული ბეჭდვითი თუ ხედვითი ჟურნალისტიკა მთელს მსოფლიოსაა მოდებული. შორეული კოლუმბიის ან ახალი ზელანდიის ამბებს ქართული მაყურებელიც ისე უყურებს, როგორც იმ ქვეყნების.

სწორედ მასმედიას უნდა „ვუმადლოდეთ" ქართულ საზოგადოებაში ირანისადმი მოჭარბებულად მუქი ფერების არსებობას. ცხადია, ვერ გავექცევით ირანთან საქართველოს ურთიერთობის, მწვავე ისტორიულ პერიპეტიებსაც. ირანი ქართულ ცნობიერებაში ჩაიბეჭდა არა მარტო ნაკლებად სასიამოვნო წარსულით, არამედ დასავლური პროპაგანდის ნეგატიური მაგალითებითაც. და არა მარტო ჩვენშია ესოდენ ფრთხილი, შიშნარევი დამოკიდებულება რეგიონის ერთ-ერთ უძლიერეს, 70-მილიონიან, ერთ მუშტად შეკრულ, დემოგრაფიულად ახალგაზრდა (მოსახლეობის 60 პროცენტი 25 წლამდე ასაკისააძ, ისტორიულად მდიდარ ქვეყანასთან. გასული წლის რუსულ „ნეზავისიმაია გაზეტაში" რუსი ჟურნალისტი პანფილოვა წერდა მისი ირანში მოგზაურობის შესახებ. გამგზავრებამდე აღმოსავლეთმცოდნეებთან კონსულტაციების გავლის შედეგად დაშინებული ჟურნალისტი, რომელსაც უთხრეს, თვითმფრინავში ქალებისა და მამაკაცების ცალკე სალონების შესახებ, ჩადრის გარეშე ქუჩაში გასვლის ექსპერიმენტის ტრაგიკული დამთავრების შესაძლებლობის თაობაზე, აგრესიულ ისლამურ ექსტრემიზმზე და სხვა მსგავს უკიდურესობებზე, თანამედროვე ირანის ხილვის შემდეგ აცხადებს — „არავითარ ექსტრემიზმთან შეხება არ მქონია", რაშიც მინდა დავეთანხმო. ირანში ვიზიტების დროს არც მე შეუწუხებივარ რელიგიურ ფანატიზმს და ექსტრემისტულ გამოხდომებს.

თანამედროვე ირანი განვითარებული სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ქვეყანაა, სადაც მზადდება გამაგრილებელი წყლებიდან დაწყებული ავტომობილებით დამთავრებული ყველა სახის პროდუქცია. ვისაც 6 წლის წინათ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა თბილისსა და ბათუმში გამართული ირანის ავტომშენებლობისა და სამრეწველო ნაწარმის გამოფენას, ჩემი სიტყვები გადაჭარბებულად არ მოეჩვენება. მნახველის ყურადღებას იპყრობდა სატვირთო ავტომობილები, სამგზავრო ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები. არანაკლებ საინტერესო იყო სამშენებლო მასალებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენაც – მეტალო-კერამიკული სახურავებით, სარეცხი საშუალებებით, გაზისა და ნავთობის მილებით და სხვა. ირანი ის ქვეყანაა, რომელიც ამზადებს ავტომანქანებსა და მაცივრებს, საყოფაცხოვრებო საქონელსა და ტანკებს, ავეჯს, საფეიქრო და კვების პროდუქციას, მაგრამ ეს სუ-



# დღევანდელობა

„დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ პატარა ქვეყნებზე გავლენის მოპოვებას. პატარა ქვეყნების ამოცანაა, ასეთ ქვეყნებთან ურთიერთობისას მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან შესაძლებელია, მათი დიქტატის ქვეშ მოექცნენ. დაფიქრებაა საჭირო, ანუ ისე არ გამოვიდეს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“




ფოტოგამოფენა

## ზუსტად წამში ხდება ყველაფერი...

თათია შევგულიძემ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. ფოტოხელოვნებით სულ ერთი წელია, რაც დაინტერესდა, ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ დღეს უფოტოობიექტივოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. მისი ფოტოები მართლაც შთამბეჭდავი და ორიგინალურია. ვინც ამ დღეებში გალერეა TMC-ში მისი ფოტონამუშევრების გამოფენა დაათვალიერა, იგი უსათუოდ შეამჩნევდა ფოტოხელოვანის ნიჭიერებას და სწრაფვას სიახლისაკენ. მისი ფოტოები შავ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი. როგორც თავად თათია შევგულიძე ამბობს, მას გეომეტრიული ფორმები უფრო იზიდავს, ეს კი შავთეთრში უფრო კარგად იკითხება. საერთოდ ფიქრობს, რომ შავთეთრიფოტოებით ყველაზე უკეთ შეიძლება გამოხატო შენი ჩანაფიქრი.

ფოტოაპარატი თათიას მუდმივი თანამგზავრი გახდა, უიმისოდ ჰგონია, რომ შიშველია და გაძარცვული. ერთხელ გუდაურში წავიდა, ფოტოაპარატი სახლში დარჩა, რაზეც ბევრი ინერვიულა, და მშვიდად ვერც დაისვენა. სწორედ გუდაურში დაიჭირა ისეთი სიუჟეტი, რომელიც მერე აღარ განმეორებულა. მართალია ტელეფონით გადაიღო, მაგრამ ისეთი არ გამოვიდა, როგორიც შეიძლებოდა ნამდვილი ფოტოაპარატით გადაეღო, მას მერე სულ თან ატარებს ფოტოაპარატს და სადაც კი მისთვის საინტერესო სიტუაციას დაინახავს, მაშინვე გადაიღებს, უყვარს შუქჩრდილებისა და ფორმების თამაში, მაგრამ მასში, რა თქმა უნდა, გარკვეული აზრიც დევს, ამის გარეშე შეუძლებელია რაიმე გადაიღო. ზუსტად წამში ხდება ყველაფერი და, როგორც თვითონ ამბობს, ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს, მით უმეტეს, თუ ის დაიჭირე, რაც დაინახე და რაც გინდოდა დაგეფიქსირებინა.





თათია შავგულიძის ფოტონამუშევრების გამოფენას მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა. მომავალ წარმატებას ვუსურვებთ ახალგაზრდა ფოტოხელოვანს.

**ლალი ქინქლაძე**

**თათია შავგულიძის ფოტო**

გლობუსი

## მეზობელი ირანი

ლაც არ ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს უცხოური საქონლის შეძენის შესაძლებლობა. სუპერმარკეტები სავსეა იტალიელი, ფრანგი, ინგლისელი კუტურიეების ნაწარმით, აქსესუარებით. თვალს იპყრობს თანამედროვე დასავლური კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ნივთები.

თეირანისა და სხვა ქალაქების ავტომაგისტრალებზე დაჰქრიან უცხოური „რენოები“, „პეჟოები“, „ნისანები“ და იმავე მარკის ადგილობრივი წარმოების ავტომობილები.

ტრასების გადატვირთულობის თვალსაზრისით თეირანი უტოლდება ტოკიოს, ნიუ-იორკს, ლოსანჟელესს. მიუხედავად თანამედროვე ესტაკადებისა და შემოვლითი გზებისა, თეირანიც ისევე განიცდის ტრანსპორტის მოძალებას, როგორც მსოფლიოს სხვა დიდი ქალაქები. ალბათ გამონაკლისი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ 16-მილიონიან თეირანში პერმანენტული პიკის საათია. ავტომანქანის საჭესთან ხშირად შეხვდებით ქალებსაც. ტაქსში ერთად სხედან ქალებიც და კაცებიც. სეგრეგაციის მაგალითები არც მინიბასებში, ჩვენებურად „მარშრუტკებში“ შეინიშნება. გაყოფილია მხოლოდ დიდი ავტობუსები. გამონაკლისი ცოლ-ქმარზეა დაშვებული. მათ შეუძლიათ ერთ სალონში მგზავრობა. ბენზინის სიიაფე, ყოველ შემთხვევაში დღემდე 1 დოლარი – 10 ლიტრი, საქალაქო თუ საკუთარი ტრანსპორტის მაქსიმალურად გამოყენების სრულ შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტი ახალგაზრდობის 50 პროცენტი გოგონებზე მოდის, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ ისლამის რესპუბლიკაში ქალთა განათლებას დიდი ხელშეწყობა აქვს. ახალგაზრდებს, განსაკუთრებით გოგონებს, ისე მოდურად აცვიათ, როგორც სხვაგან. განსხვავება მხოლოდ თავსაბურავშია. ირანში, ისევე როგორც ბევრ მუსლიმანურ ქვეყანაში, ალკოჰოლური სასმელები აკრძალულია. ალკოჰოლური სასმელების მსურველს მოძალებული სურვილის დაკმაყოფილება უალკოჰოლო ლუდით ან შამპანურით შეუძლია.

ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში პრიორიტეტული მდგომარეობა უკავიათ სომხებს. მხოლოდ მათ აქვთ სპირტიანი სასმელების დამზადება-გამოყენების შესაძლებლობა.

ირანში სომხების მიმართ სხვაგვარი, მე ვიტყოდი, პრივილეგირებული დამოკიდებულებაა. სომხურ დიასპორას თავისი წარმომადგენლობა ჰყავს ირანის პარლამენტში. მათ საკუთარი სკოლები, კულტურის ცენტრები აქვთ. უშვებენ ჟურნალ-გაზეთებს. თეირანში იშვიათობას არ წარმოადგენს სომხური ეკლესიები. ირანში არც ქრისტიანობა და არც სხვა რელიგიის აღმსარებლობა არ იდევნება. ქვეყანაში მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად არის სინაგოგებიც. მიუხედავად იმისა, რომ – ისრაელი ირანისა და სხვა მუსლიმური სამყაროსათვის დაუძინებელ მტრად მიიჩნევა, იუდაიზმი არ იდევნება, ირანში ყველა რელიგიას პატივისცემით ეპყრობიან. ქვეყანაში ადგილი არა აქვს კონფლიქტებს რელიგიურ ნიადაგზე.

ვერც თეირანში ან სხვა ქალაქში ვერ შეხვდებით ახალგაზრდათა გამომწვევ, გამაღიზიანებელ, კინკლაობისა და ჩხუბისაკენ მიდრეკილ მზერას, უხეშობას, ბილწსიტყვაობას, იმას, რასაც, სამწუხაროდ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ ჩვენში. თბილისის ქუჩები, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა თავშეყრის ადგილებზე, ბილწსიტყვაობით არის დამძიმებული.

თეირანის ან სხვა ქალაქების ახალგაზრდათა თავშეყრის ადგილებში სქესობრივი აქტის დამახასიათებელ ლექსიკას ვერ შეხვდებით. ისეთი პრიმიტიულად აღტყინებული და აგრესიული მზერით შეპყრობილი საზოგადოების პირობებში, როგორიც ჩვენშია, საქართველოს ტურისტულ სამოთხედ გადაქცევა არ უწერია.

ის, რომ სანუკვარი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ყველაზე დამოკიდებული ქვეყანა აღმოჩნდა, ამას მტკიცება არ სჭირდება. ქვეყნის ხელისუფლება იმას აკეთებს, რაც ვაშინგტონში, ტელ-ავივში, ასტანაში, ანკარაში, კიევში და,



თქვენ წარმოიდგინეთ, ბაქოში სურთ. ირანის ისლამური რესპუბლიკისთვის მსგავსი მორჩილება ისტორიას ჩაბარდა. სწორედ ნამდვილი და არა სიტყვიერი დამოუკიდებლობისთვის მოხდა 1979 წლის რევოლუცია, რომელმაც არა მარტო ფეჰლევითა დინასტია, რომელიც ქვეყანას 1925 წლიდან მართავდა, არამედ 2.500-წლიანი მონარქია დაამხო. იმავე წლის პირველ აპრილს შეიქმნა ირანის ისლამური რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იმიგრაციიდან დაბრუნებული რევოლუციის ლიდერი აიათოლა რუჰოლა მუსავი ჰომეინი. რევოლუციის ლიდერებმა დასაბამიდანვე მიზნად დაისახეს დასავლეთის მარწუხებიდან გათავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, სულიერების თვალსაზრისით. შემუშავდა ირანის საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის გეგმა. მას საფუძვლად ისლამური სამართლის პრინციპები დაედო. შაჰის რეჟიმით უკმაყოფილო მოსახლეობის დიდ ნაწილს შვება უნდა ეგრძნო. უნდა განელებულიყო შაჰის კარის დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობით გამოწვეული საყოველთაო განრისხება. შაჰის დროს აშშ-თან და დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობამ ფართო გზა გაუხსნა ტრადიციული ცხოვრების წესების ნგრევას, დასავლური მასკულტურის გავრცელებას. საზოგადოებას აღიზიანებდა ირანში ათეულ ათასობით ამერიკელი მრჩევლისა და ექსპერტის ყოფნა, მათი ქედმაღლური დამოკიდებულება ადგილობრივთა მიმართ, მოსახლეობას ისიც აღიზიანებდა, რომ ქვეყანა გადაიქცა ერთი მუჭა მდიდრებისთვის სავანედ, ხოლო დანარჩენებისთვის – აუტანლად. ისლამური რესპუბლიკის ლიდერთა წინაშე რთული ამოცანები იდგა, მაგრამ მათ საქებრად უნდა ითქვას, რომ გაართვეს თავი ურთულეს პრობლემებს. ხალხი მიჰყვებოდა რელიგიურ ლიდერებს არა ბრმად, არამედ სრული შეგნებით, ვინაიდან მათში ხედავდნენ სულიერ დამრიგებლებსა და დამცველებს.

ირანელებს არ შეიძლება ეწოდოს ფანატიკური ერის სახელი, არც ის შეიძლება ითქვას, რომ ირანელი ქსენოფობიისაკენ არის გადახრილი, ის, რაც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მოხდა, მარტო რევოლუციური მოტივებით არ არის გამოწვეული. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ სოფლის მოსახლეობა, რომელიც ტრადიციული რელიგიის მიმდევარია, აქტიურად არც იყო ჩართული ანტიმონარქისტულ მოძრაობაში.

ირანის ღვთისმსახურთა შორის ბევრია მაღალგანვითარებული პირი, რომელსაც სასულიერო განათლებასთან ერთად მიღებული აქვს უმაღლესი საერო განათლებაც. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შიიტი ღვთისმსახურები აქტიურად ცდილობდნენ სასულიერო განათლებასთან ერთად საერო განათლების მიღებას, როგორც ირანში, ისე დასავლეთის სახელმწიფოებში. ღვთისმსახურები ფლობენ სრულ ინფორმაციას ხალხის ცხოვრების შესახებ. მათ კარგად აქვთ შეთვისებული პროფესიული საქმიანობისა და პროპაგანდის ხელოვნებაც.

ირანის ხელისუფლების ცვლა ბევრს არ მოეწონა, განსაკუთრებით ამერიკელებს. შაჰის ხელისუფლების მომხრეებმა მიატოვეს ირანი. ისინი დღესაც აგრძელებენ ბრძოლას ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ჰომეინის მიერ შექმნილმა სისტემამ გაძლო. ირანმა გაუძლო 7-წლიან ომს ერაყთან, ქვეყანასთან, რომელსაც ყველანაირად ეხმარებოდნენ აშშ-ი და დასავლეთი. ირანი დღესაც პერმანენტულ შეტევას განიცდის აშშ-ს მხრიდან, რომელსაც არ მოსწონს ირანის მოძლიერება და რეგიონულ ლიდერად გადაქცევა. ირანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის დასავლეთთან, დამყარებული აქვს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა.

დასასრულს მინდა ისევ მანუჩეჰრ მოჰამადის სიტყვებს დავუბრუნდეთ: **„დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ პატარა ქვეყნებზე გავლენის მოპოვებას. პატარა ქვეყნების ამოცანაა, ასეთ ქვეყნებთან ურთიერთობისას მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან შესაძლებელია, მათი დიქტატის ქვეშ მოექცნენ. დაფიქრებაა საჭირო, ანუ ისე არ გამოვიდეს, ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

№ 129. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2007 წელი.

# ვითარება

ქრისტე ერთხელ აცვეს ჯვარს. მე კი, არ ვიცი რისთვის, ბოლო 50 წლის განმავლობაში ჯვარზე ვარ გაკრული. არც ერთი ჩემი ნაშრომი არ დაუბეჭდავთ მათემატიკოსებს. დაწერილი კი მაქვს 10 წიგნი და უამრავი სტატია. არც ერთი სადოქტორო დისერტაცია არ დამაცვევინეს, დაწერილი კი მაქვს სამი, მათემატიკის სამ სხვადასხვა სფეროში.



## როცა დაჯერება ჭირს...

# ალალგებრა და «ჩასარეცხები»

**ალქიმია მოკვდა. იგი, როგორც მეცნიერება, აღარ არსებობს. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ალქიმიკოსებმა ოქრო ვერ მიიღეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ დაინახა, რომ მათ ოქრო ვერ მიიღეს და ისინი დაცინვის საგნად გადაიქცნენ. ალქიმიკოსები ხალხის დაცინვამ „ჩარეცხა“.**

ასეთივე ამბავი მოხდა მედიცინაშიც. ექიმბაშები მთელს ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში სულ ამაოდ ცდილობდნენ მკვდრის გაცოცხლებას. ბოლოს და ბოლოს მათაც თავი დაანებეს ამ მაცდუნებელ, ამაო შრომას. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მკვდარი ვერ გააცოცხლეს, არამედ იმიტომ, რომ მათი უნაყოფო შრომის ამბავი ყველამ ცხადად დაინახა და ეს ექიმბაშები, დღეს ფრიად გახმაურებული პრეზიდენტისეული სიტყვა რომ ვიხმაროთ. დრომ და ხალხის დაცინვამ ჩარეცხა.

მსგავსი შემთხვევები მოხდა ცრუ მეცნიერების სხვა დარგებშიც. თითქმის ყოველთვის „ჩაირეცხებოდა“ სათანადო ადგილას მკვდრად შობილი მეცნიერების დარგები, როგორც კი საყოველთაოდ ცნობილი ხდებოდა მსგავსი მოვლენები.

მაგრამ, სამწუხაროდ, სულ სხვა მდგომარეობაა ალმათემატიკასა და ალალგებრაში.

თვით მათემატიკა და ალგებრა მეცნიერების უმშვენიერესი დარგებია, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა ე.წ. „თანამედროვე მათემატიკასა“ და „თანამედროვე ალგებრაში“, რომელთაც მე ალმათემატიკა და ალალგებრა ვუწოდე.

„თანამედროვე ალგებრის“, ანუ ალალგებრის საბოლოო მიზანია, რამენაირად ამოხსნას მაღალი ხარისხის განტოლებები. მაგრამ ეს შეუძლებელია მისი ე.წ. სპეციალისტებისთვის. ამის გამო, რას ბოდიალობენ ალალგებრაისტები, თვითონაც არ იციან და, ცხადია, მათი არავის არაფერი გაეგება. სწორედ ეს გაუგებრობა არის იმის მიზეზი, რომ ალალგებრაისტები დღემდე ვერ გახდნენ ხალხის ფართო მასების დაცინვის საგანი და დღემდე არ არიან „ჩარეცხილები“.

ერთხელ, ერთ საერთაშორისო სემინარზე მოხსენების დროს, მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება თანამედროვე ალგებრის შესახებ, ვთქვი, რომ ეს არის ცრუ მეცნიერების დარგი. მოხსენების შემდეგ ერთი ამერიკელი პროფესორი მომიახლოვდა და ის კი არ მითხრა, როგორ გეკადრებათ, ჩვენი „მეცნიერული შედეგები“ მნიშვნელოვანიაო, არამედ უბრალოდ თქვა, გთხოვთ, ამისთანა რამეებზე ხმამაღლა ნუ საუბრობთ, თორემ ეს ხმები კონგრესამდე მივა და დაფინანსებას შეგვიმცირებენო. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. არსებობს დაფინანსება, მაგრამ არ არსებობს კონტროლი მათი ბოდიალის შემოწმების შეუძლებლობის გამო. კარგად დაფინანსებულები არიან, გასდით და ბოდიალობენ დაუსრულებლად.

მეცნიერების ეს ვაიდარგები მას შემდეგ წარმოიშვნენ, რაც მათემატიკოსებმა ორი გენიოსი კოლეგის – აბელისა (26 წლისძ და გალუას (21 წლისძ სიკვდილში გაისვარეს ხელები. მათ აბელი არ მიიღეს სამუშაოდ ევროპის არც ერთ ქვეყანაში, რის გამოც გამუდმებული შიმშილისგან ჭლექი დაემართა და მოკვდა. გალუა კი დუელში მოაკვლევინეს დაქირავებულ მკვლელს, მას შემდეგ რაც არც უნივერსიტეტში მიიღეს სასწავლებლად და არც შრომები დაუბეჭდეს სიცოცხლეში.

აბელი ამბობდა, რომ მეხუთე და უფრო მაღალი ხარისხის ზოგად ალგებრულ განტოლებებს ამონახსნის ერთი ფორმულა არ გააჩნიათ ნებისმიერი რაოდენობის ოთხი არითმეტიკული მოქმედებით – მიმატებით, გამოკლებით, გამრავლებით, გაყოფითა და ფესვების ამოღებით განტოლების კოეფიციენტებიდანო. მათემატიკოსებმა ეს თეორემა ისე გაიგეს, რომ ამ ზოგად განტოლებებს ამონახსნები საერთოდ არა აქვთო, და ორ-ორი აგურის ძებნას მიჰყვს ხელი. ყველაზე ყოყლოჩინებმა კი „თანამედროვე ალგებრას“, ანუ ალალგებრას ჩაუყარეს საფუძველი, და აგერ უკვე 170 წელია მას შემდეგ, თავი მოაბეზრეს (თუ შეაზიზღესძ ყველა განათლებულ ადამიანსა და, უპირველეს ყოვლისა, სწავლის მძებნელს.

ეს განტოლებები პირველად მსოფლიოში მე ამოვხსენი 50 წლის წინათ და აი როგორ:

აბელის სიტყვები ერთი ფორმულის არარსებობის შესახებ არ ნიშნავს, საერთოდ, ამონახსნის არარსებობას. კარგ მთქმელს კარგი გამგები უნდა. მე ვამბობ, არ არსებობს ერთი? მაშ, იყოს რამდენიმე!

როდესაც განტოლების კოეფიციენტები ასრულებს რომელიმე ერთ პირობას, არსებობს განტოლების ერთი ამონახსნი ფორმულის სახით. სხვა პირობების დროს არსებობს სხვა ფორმულები. ამ პირობებს მე სტალინის პირობები ვუწოდე, რადგან სტალინმა გადაარჩინა უმადური ევროპა და ათასჯერ უმადური რუსეთი სრულ განადგურებას.

აბელის სიტყვებით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად არითმეტიკის ოთხი მოქმედება და ამოფესვის ოპერაცია საკმარისი არ არის. ამიტომ, მე მოვიფიქრე პირველად სრულიად ახალი ტიპის მოქმედებები, რომელთა საშუალებითაც მიზანს მივაღწიე, ამოვხსენი აღნიშნული განტოლებები.

რაც შეეხება გალუას, მან ფაქტობრივად, პირველმა დასვა საკითხი ახალი ტიპის რიცხვთა თეორიის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ეს მხოლოდ მე შევძელი ახალი ტიპის რიცხვთა თეორიის აღმოჩენა და განვითარება იმ დონემდე, რომ შემიძლია ამოვხსნა ნებისმიერი ხარისხის განტოლებები.

აბელმა და გალუამ დროულად შენიშნეს, რაც უნდა დაემატებინათ იმ დროისთვის ცნობილი ალგებრისთვის, რომ ეს მეცნიერება სრულყოფილად განვითარებულიყო. მაგრამ მათემატიკოსების შურიანობამ და ყოველგვარ ზღვარს გადასულმა მეცნიერულმა სიხარბემ („ყველაფერი ჩემი აღმოჩენილია!“ძ იმსხვერპლა ორი გენიოსის სიცოცხლე და გაამრუდა ალგებრისა და მათემატიკის ნორმალური განვითარება. ალალგებრაისტებმა „გალუას თეორიის“ სახელწოდებით შექმნეს უსაძაგლესი თეორია, რომელსაც გალუასთან არავითარი საერთო არა აქვს. ზუსტად ასეთი მდგომარეობის შესახებ ასტრონომიაში გალუამდე სამი საუკნით ადრე, კოპერნიკი წერდა: „ზოგიერთი ახალი თეორია ასტრონომიაში ისეთია, რომ მისი გაცნობის შემდეგ ადამიანი უფრო სულელი ხდება, ვიდრე ის იყო ამ თეორიის გაცნობამდე“. ზედგამოჭრილია ალალგებრასა და ალმათემატიკაზე.



ისე, ცნობისათვის: მათემატიკოსები ყველა დროში იყვნენ შურიანები და მკვლელები. 26 საუკუნის წინათ პითაგორამ წყალში დაახრჩობინა 18 წლის ჰიპასუსი თავის მიმდევრებს მხოლოდ იმისათვის, რომ ჰიპასუსმა დაამტკიცა, – წილადი არ არისო. ხოლო შემდეგ ეს თეორემა თვითონ პითაგორამ მიითვისა.

დიდმა გაუსმა არც აბელი გაიკარა ახლოს და არც გალუა დაიცვა, როცა ის დაცვას საჭიროებდა.

რაც შემეხება მე, მაშინ ცხრამეტი წლისა ვიყავი, ქიმიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, როდესაც მითხრეს, ესა და ეს განტოლებები ამოუხსნელიაო. მე მეხუთე ხარისხის განტოლებები მაშინ ამოვხსენი პირველად. შედეგი ჩემს მასწავლებელს, დოცენტ ნიკო მგელაძეს ვაჩვენე. მან არც შეამოწმა ჩემი შედეგი, არც შეუმოწმებლად დამიჯერა. საერთოდ, არაფერი მითხრა. ცხადია, მაშინ არც გალუა ვიცოდი ვინ იყო, არც აბელი და არც სხვა. მე მხოლოდ ერთ მათემატიკოსს ვიცნობდი, ჩემს მასწავლებელს ნიკო მგელაძეს, რომელიც სულ ხუთიანებს მიწერდა.

ქრისტე ერთხელ აცვეს ჯვარს. მე კი, არ ვიცი რისთვის, ბოლო 50 წლის განმავლობაში ჯვარზე ვარ გაკრული. არც ერთი ჩემი ნაშრომი არ დაუბეჭდავთ მათემატიკოსებს. დაწერილი კი მაქვს 10 წიგნი და უამრავი სტატია. არც ერთი სადოქტორო დისერტაცია არ დამაცვევინეს, დაწერილი კი მაქვს სამი, მათემატიკის სამ სხვადასხვა სფეროში.

1993 წელს „მთხოვეს“ სამსახურიდან წავსულიყავი იმის გამო, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის 101 თანამშრომელთან ერთად ხელი მოვაწერე პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნას. მოახლოებული საფრთხის გამო საზღვარგარეთ გავიქეცი. სამსახურში გავაფორმე მივლინება გერმანიაში ყოველგვარი დაფინანსების გარეშე (სინამდვილეში გავიქეცი ინგლისშიძ. ქართველმა მათემატიკოსებმა სამი ჯაშუში დამადევნეს გერმანიაში. იქ რომ ვერ მიპოვეს, დამიწყეს ძებნა მთელს ევროპაში. ერთ-ერთმა მათგანმა, წარმოშობით რუსმა ებრაელმა, (ჩემი ღრმა რწმენით კგბ-შნიკმაძ მომაგნო ლონდონის უნივერსიტეტის კინგის (სამეფოძ კოლეჯში. მან ჩამოიტანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან და თბილისის უნივერსიტეტიდან ჩემს შესახებ რაღაც საიდუმლო დოკუმენტები და გაავრცელა იმ მათემატიკურ გარემოში, სადაც ვტრიალებდი. შედეგად, ის ჯაშუში ჩემს მაგივრად მიიღეს სამსახურში. როგორც უვარგისი, ის ერთი წლის შემდეგ გააგდეს სამსახურიდან. მე კი მას შემდეგ დავრჩი უმუშევარი. ვარსებობდი, და დღემდე ვარ უმუშევართათვის გაწეული დახმარებით. სწორედ ამ დახმარების წყალობით ვინახავ თბილისში ხუთ უმუშევარ ნათესავს.

დიდ ბრიტანეთში არსებობს სამეფო საზოგადოება. ეს ორგანიზაცია არ ფინანსდება სახელმწიფოსგან. ამის მიუხედავად, იგი მეცნიერული თვალსაზრისით უფრო მძლავრი ორგანიზაციაა, ვიდრე ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემია. სამეფო საზოგადოების წევრები (ფელოუძ არავითარ ფულს არ იღებენ თავიანთი მოვალეობების შესრულებაში. ისინი პირიქით, საწევროებს იხდიან საზოგადოების სასარგებლოდ. სამეფო საზოგადოების წევრები მუშაობენ უნივერსიტეტებში დიდ თანამდებობებზე და იქ იღებენ ხელფასს. სამეფო საზოგადოება ძირითადად ფინანსდება მის წევრთა გადასახადებით, მათ მიერ გამოშვებული ძვირფასი სამეცნიერო წიგნებითა და ჟურნალებით, შემოწირულობებით, რეკლამებით.

მე ვფიქრობ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც უნდა გარდაიქმნას ასეთ თვითდაფინანსებად სამეცნიერო საზოგადოებად, რომლის პრეზიდენტსაც და მმართველ ორგანოსაც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აირჩევენ. არ უნდა შეიძლებოდეს პრეზიდენტის განმეორებით არჩევა. აი, ასეთ პირობებში ყველაფერი იქნება „აჟურში“, მოისპობა კორუფცია, რომლის ძირითადი გამომწვევი მიზეზია მეცნიერებათა აკადემიის „სამიდღემჩიოდ მისჯილი“ პრეზიდენტობა. დაე, იყოს ჩვენთანაც ისე, როგორც ინგლისშია.

ჩემი მოკლე ვადით თბილისში ჩამოსვლის მიზანია საკუთარი თვალებით ვნახო ის გარდაქმნები, რაც აქ მოხდა განათლების სფეროში. საქართველოში ეს სფერო ყელამდე იყო ჩაფლული სამარცხვინო და საყოველთაო კორუფციაში: ინსტიტუტში მისაღები გამოცდები, სასკოლო საატესტაციო გამოცდები, საკანდიდატოსა და სადოქტორო დისერტაციის დაცვა, თანამდებობებზე დანიშვნა, სამეცნიერო და სასწავლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა და მრავალი ათასი სხვა რამ ველური კორუფციის კლანჭებში იყო მოქცეული. ახლა კი გარედან ისე ჩანს, თითქოს ყველაფერი გარდაიქმნა, ყველაფერი გამოსწორდა ამ მიმართულებით განათლების სამინისტროს ენერგიული რეფორმების შედეგად.

თუ შიგნით შევიხედავთ, დეტალებს გავეცნობით, დავინახავთ, რომ ნაკლი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად აღმოფხვრილი, რომ ჯერ კიდევ არსებობს აქა-იქ შემორჩენილი „ ჩასარეცხების“ დიდი გავლენა ახალგაზრდა მეცნიერებზე.

მოვიყვან ასეთ ფაქტს. მე მაქვს დაწერილი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, სადაც ვიძლევი მაღალი ხარისხის განტოლებების ამოხნის მეთოდებს. ეს სახელმძღვანელო მინდოდა დამებეჭდა ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობაში ჩემი ხარჯებით. ამისთვის საჭიროა უნივერსიტეტის სპეციალისტების სათანადო დასკვნა. ამ მიზნით მივმართე რექტორს. რექტორმა მართებულად მიმითითა, რომ მივსულიყავი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან, ასოცირებულ პროფესორთან, ბატონ რამაზ ბოჭორიშვილთან.

ბატონმა რამაზმა თავაზიანად მიმიღო, მომისმინა და მირჩია განცხადება დამეწერა. ასეც მოვიქეცი. მან განცხადება წაიკითხა და სამართლიანი რეზოლუცია დაადო. ჩემი განცხადება გადააგზავნა განსახილველად მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელთან ასოცირებულ პროფესორ ომარ ფურთუხიასთან. ამ წერილს თან ვურთავ ჩემს განცხადებას.

**ბატონ რამაზ ბოჭორიშვილს**

**მოგახსენებთ, რომ მაქვს დაწერილი ათამდე წიგნი, მხოლოდ ორი მათგანია დაბეჭდილი საზღვარგარეთ. დარგი, რომელშიც მე ვმუშაობ, გარეგნულად ჰგავს მათემატიკას, მაგრამ ის არის სულ სხვა, ახალი დარგი მეცნიერების, რომელსაც მე ჯორჯია დავარქვი.**

**ცნობილია, რომ ალგებრაში ვერ ხსნიან მაღალი ხარისხის განტოლებებს. ჯორჯიაში ისინი ადვილად იხსნებიან და მსურს ჩვენს უნივერსიტეტში, პირველად მსოფლიოში, ისწავლებოდეს მაღალი და ზემაღალი ალგებრული განტოლებების ამოხსნის მეთოდიკა ჩემი სახელმძღვანელოთი.**

**ცნობილია, რომ კერძოწარმოებულებიანი განტოლებებისთვის შედგენილი კორექტული ამოცანები, რომელთა შორისაა ყველა ქართველი მათემატიკოსის მიერ შესწავლილი ამოცანები, არ იხსნება ზუსტად არც ჩვენში, არც საზღვარგარეთ, არც რუსეთში.**

**მხოლოდ მე ვხსნი უკლებლივ ყველა კორექტულ ამოცანას ამ მიმართულებით ძ.**

**მე მინდა, რომ ჩემი ამოხსნის მეთოდები ისწავლებოდეს ჩვენს უნივერსიტეტში. ეს იქნება მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტი კერძო- წარმოებულებიან განტოლებათა შესწავლის საქმეში.**

**ასევე მაქვს წიგნი დაწერილი დიფერენციალური განტოლებების ამონახსნების მდგრადობაში.**

**ასევე მინდა, ეს დარგიც ისწავლებოდეს ჩვენს უნივერსიტეტში.**

**თუკი ამ სამი მიმართულებით დაიწყება სტუდენტების მომზადება ჩვენს უნივერსიტეტში, დაბეჯითებით გარწმუნებთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენი უნივერსიტეტი გახდება მსოფლიო მნიშვნელობის ლიდერი მათემატიკაში, მსოფლიოდან აქ ჩამოვლენ სტუდენტებიცა და სპეციალისტებიც ამ ჩამოთვლილი დარგების შესასწავლად.**

**აქამდე, საქართველოშიც და სსრკ-შიც, ჯერ არ მიბეჭდავდნენ წიგნებს, შემდეგ მე თვითონ არ მაძლევდა ხელს ამ წიგნების დაბეჭვდა სპეციალური დაცვის, ანუ საპატენტო დაცვის გარეშე. მათემატიკაში, ცნობილია, პატენტი არ გაიცემა.**

**ეს სწორია, რომ ასეა. მაგრამ ჩემი თეორია არის არა მათემატიკა, არამედ ჯორჯია. მათემატიკაში ეს ამოცანები ვერ იხსნება. ეს ამოცანები იხსნება მხოლოდ და მხოლოდ ჯორჯიაში იმის გამო, რომ მე ვსარგებლობ აქამდე უცნობი ოპერაციებით და ახალი რიცხვთა თეორიით, რომლებიც ჩემი შექმნილია.**

**მე ჩემი წიგნების დაბეჭდვა შემიძლია, მაგრამ დაცვა – არა. საქართველოს საპატენტო სამმართველოს უფროსი ბატონი დავით გაბუნია თვლის, რომ მსოფლიო ორგანიზაციების მიერ დადგენილი შეთანხმებით ასეთი ნაშრომები პატენტს არ ექვემდებარებიან.**

**მე ამ განცხადებას ვურთავ ათ განტოლებას, რომელთაც მე ვხსნი და ვფიქრობ, რომ მათ ვერ ამოხსნის ვერავინ მსოფლიოში, კომპიუტერის დახმარებითაც კი.**

**გთხოვთ, გადასცეთ ეს განტოლებები თქვენს მათემატიკოსებს. თუ ამოხსნიან, განმსაჯონ თავიანთი შეხედულებით. თუ ვერ ამოხსნიან, ისინი არ გამოდგებიან ჩემს მსაჯულებად.**

# თარიღი

„ვფიქრობ, მომავალი თაობები ამ დღეს აღნიშნავენ, როგორც ყოველწლიურ გრანდიოზულ დღესასწაულს. იგი ყოველწლიურად უნდა აღინიშნოს მთელ კონტინენტზე ზარზეიმით, ალლუმებით, წარმოდგენებით, თამაშობებით, სპორტული პაექრობებით, ზარბაზნების გრიალით და ზარების რეკვით, ჩირაღდნებით და ფოიერვერკებით.“

**ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ დამეხმაროთ ჩემი შრომების დაცვაში, რასაც შესაძლოა პარლამენტის სპეციალური დადგენილება დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში მე დავბეჭდავ მსოფლიოში გავრცელებად სამ დიდი მოცულობის სახელმძღვანელოს ჯორჯიაში. მაქვს სხვა დიდი გეგმებიც, რომლებიც მოიტანენ დიდ შემოსავლებს.**

*ღრმა პატივისცემით*
**ზურაბ შანიძე.**

ბატონი ომარისგან პასუხი იგვიანებდა. ამიტომ ტელეფონით შევეხმიანე. მისი აზრი მაინტერესებდა, ამოხსნეს თუ არა მან და მისმა კოლეგებმა ჩემ მიერ ამოხსნილი განტოლებები, რომლებიც განცხადებას დავურთე. აღმოჩნდა, რომ მათ ვერც ერთი განტოლება ვერ ამოხსნეს შეთავაზებული ათიდან, რომლებსაც ამ წერილს თან ვურთავ

**ამოხსენით შემდეგი განტოლებები:**

1. $y^{n} - 25y^{n} - 306y^{8} - 3289y^{7} - 9867y^{6} - 16445y^{5} - 16744y^{4} - 10948y^{3} - 4692y^{2} - 1311y^{2} - 230y - 23 = 0$
2. $y^{8} - 72y^{7} - 504y^{6} - 1764y^{5} - 3780y^{4} - 5208y^{3} - 4536y^{2} - 2286y - 510 = 0$
3. $y^{7} - 56y^{6} - 336y^{5} - 980y^{4} - 1680y^{3} - 1736y^{2} - 1008y - 254 = 0$
4. $y^{5} - 28y^{4} - 56y^{3} - 140y^{2} - 126y - 134 = 0$
5. $y^{6} - 42y^{5} - 210y^{4} - 490y^{3} - 630y^{2} - 434y - 126 = 0$
6. $y^{10} + 11y^{8} - 55y^{6} + 77y^{4} - 44y^{2} + 11 = 0$
7. $y^{5} - 30y^{4} - 120y^{3} - 210y^{2} - 180y - 62 = 0$
8. $4y^{3} + 50y^{2} + 125 = 0$
9. $y^{3} + 10y^{2} - 100 = 0$
10. $y^{6} + 4y^{5} + 9y^{4} + 8y^{3} + 4y^{2} + 2y + 1 = 0$

რადგანაც მათ ვერ ამოხსნეს ის განტოლებები, რომელთა ამონახსნის შესწავლას მე ვთავაზობ ქართველ სტუდენტებს, ამიტომ ასეთი სპეციალისტების აზრი ჩემი ნაშრომის ავკარგიანობის შესახებ არ მიმაჩნია კვალიფიციურ პასუხად ჩემს განცხადებაზე.

ამ წერილს თან ვურთავ ბატონი ფურთუხიას ხელმოუწერელ სამსახურებრივ ბარათს.

**მათემატიკის ს/ს ინსტიტუტის დირექტორს ომარ ფურთუხიას**

**სამსახურებრივი ბარათი**

ბატონო რამაზ, გავეცანი ბატონ ზურაბ შანიძის წერილს და გავაცანი მისი შინაარსი მათემატიკის სს ინსტიტუტის აკადემიურ პერსონალს. ბატონი ზურაბ შანიძე აცხადებს, რომ მან შექმნა მეცნიერების ახალი დარგი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად ჰგავს მათემატიკას და იგი მას უწოდებს "ჯორჯიას". იგი თხოულობს, დავეხმაროთ თავისი შრომების დაცვაში და მიაჩნია, რომ: "ამას, შესაძლოა„ პარლამენტის სპეციალური დადგენილება დასჭირდეს". ჩვენ მას შევთავაზეთ, რომ მათემატიკის სს ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის წინაშე გაეკეთებინა მოხსენება თავისი შედეგების შესახებ, რაზედაც მან თავიდან თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ კი ამ მოხსენებას არ დაესწრებოდნენ მისი "მტრები", თუმცა შემდგომ საუბარში უარი თქვა მოხსენების გაკეთებაზე. შემდეგ მას შევთავაზეთ თავისუფალი საუნივერსიტეტო კრედიტების ფარგლებში წარმოედგინა კურსის შესაბამისი სილაბუსი, რაზედაც აგრეთვე უარი მივიღეთ. ბატონი ზ. შანიძე თხოულობს, რომ მხოლოდ თავისი წერილის საფუძველზე მივწეროთ, არის თუ არა "ჯორჯია" საინტერესო და თუ ვეტყვით, რომ საინტერესოა (რისი გაკეთებაც ჩვენ არ შეგვიძლია მისი მოხსენების მოსმენის ან ნაშრომის გაცნობის გარეშე), მაშინ მან ეს კურსი ასწავლოს ჩვენი უნივერსიტეტის პირველკურსელ სტუდენტებს. მას სურს აგრეთვე, რომ ეს საგანი ისწავლებოდეს სკოლაში, რაზედაც მან, ცხადია, განათლების სამინისტროს უნდა მიმართოს.

თუ ვირწმუნებთ იმას, რომ ბატონ ზურაბ შანიძეს ზუსტად შეუძლია ამოხსნას ნებისმიერი მაღალი რიგის ალგებრული განტოლება, ეს ფაქტი, ზოგადად, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ ჩვენ სასწავლო კურიკულუმი საშუალებას არ გვაძლევს ამ საგნის სწავლების. მით უმეტეს, ის აცხადებს, რომ: "ეს არ არის მათემატიკა და არის რაღაც ალქიმიის მსგავსი".

*პატივისცემით*
ო. ფურთუხია.
26.06.07წ.

ჩემის აზრით, ბატონი ფურთუხიას ამ გადაწყვეტილებაში რამდენიმე უზუსტობაა:

მე არ მინდა, ვასწავლო თბილისის უნივერსიტეტის პირველკურსელებს. მე ეს არც მითხოვია და არც შემიძლია, რადგან უცხოეთის მოქალაქე ვარ და ვერ დავკარგავ ჩემი შემოსავლის წყაროს.

მე უნივერსიტეტს კი არ ვთხოვ ჩემი შრომების საპატენტო დაცვას, არამედ, თუკი „ალმათემატიკოსები“ ვერ ამოხსნიდნენ ჩემ მიერ ამოხსნილ განტოლებებს, მათ უბრალოდ უნდა დაედასტურებინათ ეს ფაქტი. ისინი კი ხმას არ იღებენ თავიანთ მათემატიკურ უსუსურობაზე. მე ეს ფაქტი მჭირდება, წარვუდგინო პარლამენტს, რათა მათ მიიღონ ჩემი შრომების საპატენტო დაცვის კანონი.

მე არასოდეს მითქვამს უარი მოხსენებაზე ახალგაზრდა მათემატიკოსებისთვის. მე მხოლოდ კორუმპირებულებსა და „ჩასარეცხებს“ ვერ ვიტან.

მე არც სილაბუსზე მითქვამს უარი. მე მათ შევთავაზე მთლიანად ჩემი წიგნი, რომლიდანაც თვითონ შეეძლოთ თავიანთი აზრით საჭირო სასწავლო მასალის ამოკრეფა, რომელსაც მე კი არა, რომელიმე მათი ახალგაზრდა კოლეგა წაუკითხავდა სტუდენტებს.

ამ გრძელი წერილიდან დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიმინდვია. ცნობილია, რომ კაცობრიობამ გადაჭრა მრავალი ურთულესი მეცნიერული პრობლემა, როგორებიცაა ადამიანის მთვარეზე გაფრენა, რაკეტის მზის სისტემის გადაღმა გაფრენა, წყალბადის ბომბის შექმნა, სასწაულები მედიცინაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში და სხვა. ასეთი მეცნიერული მიღწევების ფონზე ჯერ კიდევ ამოუხსნელია მაღალი ხარისხის განტოლებები ალგებრაში. ამ ამოცანის ამოხსნა მხოლოდ მე შევძელი, ქართველმა კაცმა. რატომ არიან ასე მწარედ გაბოროტებული ქართულ უნივერსიტეტში?!

მე მათემატიკურ დუელში ვიწვევ ყველა ქართველ მათემატიკოსს ცოცხლებსაც და მკვდრებსაც იმ საკითხებში, რაშიც მე ვმუშაობ დარაც მთელი მათემატიკის 60%-ზე მეტია.

მათ შეუძლიათ, ისაგებლონ კომპიუტერით, მიიღონ კონსულტაციები მსოფლიოს ყველა მათემატიკოსისგან.

ამ დუელის დასაწყისად ჩათვალეთ ზემოთ მოყვანილი ათი განტოლება. დანარჩენ ამოცანებსაც მალე მოგართმევთ, თუ მედია მომცემს ამის საშუალებას.

განათლების სამინისტროს ვთხოვ, ვინც ჩემს ამოცანებს ვერ ამოხსნის, მათი აზრი ჩემს შესახებ არ გაითვალისწინოს. ეს ამოცანები ახლო მომავალში დიდი შემოსავლების მომტანია. გარდა ამისა, კართაგენი უნდა დაინგრეს, ყველა მართლა „ჩასარეცხი უნდა ჩაირეცხოს!“

**ზურაბ შანიძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქე**



## 4 ივლისს აღინიშნა აშშ დამოუკიდებლობის დღე



# „მომავალი თაობები ამ თარიღს აღნიშნავენ, როგორც ყოველწლიურ გრანდიოზულ დღესასწაულს“

**1776 წლის 4 ივლისს II კონტინენტურმა კონგრესმა მოიწონა თომას ჯეფერსონის მიერ დაწერილი დამოუკიდებლობის დეკლარაციის ტექსტი, რომელიც აცხადებდა ადამიანთა თანასწორობის იდეებს, იმას, რომ „ადამიანებს ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ ისეთი ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა“. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დღე გამოცხადდა აშშ-ს სახელმწიფო დაბადების დღედ.**

სახელმწიფოს დაბადების ოფიციალურ დღესასწაულად 4 ივლისი დადგინდა დამოუკიდებლობის დეკლარციის მიღებიდან 7 წლის შემდეგ – 1983 წელს, დამოუკიდებობისათვის ბრძოლების დამთავრებისთანავე. აშშ-ს დამოუკიდებლობის დღის დაწესებასთან დაკავშირებით, აშშ-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი და მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამსი თავის მეუღლეს აბიგელ სმიტს სწერდა:

„ვფიქრობ, მომავალი თაობები ამ დღეს აღნიშნავენ, როგორც ყოველწლიურ გრანდიოზულ დღესასწაულს. იგი ყოველწლიურად უნდა აღინიშნოს მთელ კონტინენტზე ზარზეიმით, ალლუმებით, წარმოდგენებით, თამაშობებით, სპორტული პაექრობებით, ზარბაზნების გრიალით და ზარების რეკვით, ჩირაღდნებით და ფოიერვერკებით.“

უნდა ითქვას, რომ ჯონ ადამსის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 4 ივლისს მრავალ შტატში ტარდება ალლუმები. ფილადელფიაში, სადაც გამოქვეყნდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ეწყობა კოსტიუმირებული წარმოდგენები, რომლებშიც აღადგენენ იმ ისტორიულ პროცესს, ქუჩაში გამოდიან კოსტიუმირებული „აშშ სახელმწიფოს შექმნის მამები“, მხატვრულად აფორმებენ იმდროინდელ სცენებს.

აშშ-ს ქალაქებში ტარდება საზეიმო სვლა დროშებითა და ორკესტრებით. პოლიტიკოსები გამოდიან პატრიოტული სიტყვებით და მოწოდებებით.

დამოუკიდებლობის დღესასწაული დამახასიათებელია საოჯახო, საზეიმო სადილებით და პიკნიკებით. ამ დღეს მასობრივად ტარდება სპორტული პაექრობები. დღესასწაულის განუყოფელი, აუცილებელი ატრიბუტია ღამის ფოიერვერკები.

აშშ-ს ისტორიაში ივლისში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები:

1 ივლისი – 194. წ. – დაიბეჭდა აშშ-ს პირველი დასაწებებელი ორი მარკა: ხუთი ცენტის ღირებულებისა ბენჯამენ ფრანკლინის გამოსახულებით და ათი ცენტის ღირებულებისა ჯორჯ ვაშინგტონის გამოსახულებით.

1 ივლისი – 1966 წ. – ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა „მედიკერი“, რომლის მიხედვითაც აშშ-ს მთავრობა ნაწილობრივ უნაზღაურებს სამედიცინო ხარჯებს ინვალიდებს ან 65 წლის და მეტი ხნის ასაკს მიღწეულ მოქალაქეებს.

2 ივლისი – 1881 წ. – თავს დაესხნენ აშშ მე-20 პრეზიდენტს ჯეიმს გარფილდს (აშშ პრეზიდენტი 1880-1881წ. დაჭრილი პრეზიდენტი 1881 წ. 19 სექტემბერს გარდაიცვალა სისხლის მოწამვლით.

3 ივლისი – 1890 წ. – აშშ-ს 43-ე შტატი გახდა აიდაჰო. ე. წ. ფერადი შტატი. აიდაჰო გამოირჩევა მცირე მოსახლეობით, დაცილებულია აშშ-ს კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრებს. მიუხედავად ამისა, შტატში არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამო იგი ითვლება ქვეყნის აყვავების გარანტად და სარგებლობს მაღალი რეიტინგით.

4 ივლისი – 1879 წ. – დაიბადა აშშ-ს 30-ე პრეზიდენტი კალვინ კულიჯი (1923-1929 წწ.) იგი ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც აშშ-ს დამოუკიდებლობის დღეს დაიბადა.

6 ივლისი – 1965 წ. – აშშ-ს კონგრესში შეიტანეს აშშ-ს კონსტიტუციის 25-ე შესწორება, რომლითაც განისაზღვრა აშშ-ს პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის შენაცვლება. შესწორება რატიფიცირებულია 1967 წლის 10 თებერვალს.

7 ივლისი – 1862 წ. – სოფლის მეურნეობის, განათლების დაფინანსებისათვის გამოიცა კანონი საზოგადოებრივი მიწების გაყიდვის შესახებ. ამ კანონმა სახელმწიფო უნივერსიტეტების ქსელის შექმნას ჩაუყარა საფუძველი.

10 ივლისი – 1797 წ. – წყალში ჩაუშვეს პირველი ამერიკული სამხედრო ხომალდი „შეერთებული შტატები“. ამჟამად ამ სახელწოდებას ატარებს აშშ-ს ერთ-ერთი უდიდესი ატომური ავიამზიდი.

10 ივლისი – 1890 წ. – აშშ-ს შტატი გახდა ვაიომინგი,რ ომელსაც მრავალი მთისა და მირერიცხოვანი მოსახლეობის შტატს უწოდებენ. ვაიომინგი მოსახლეობით აშშ-ში ყველაზე მირერიცხოვანი შტატია, მოსახლეობა ნახევარ მილიონ ადამიანს შეადგენს. XIX საუკუნის დასასრულიდან ვაიომინგს „მესაქონლეობის რესპუბლიკას“ უწოდებენ. ვაიომინგის სიმბოლოა კოვბოო ფართო ფარფლებიანი ქუდით.

11 ივლისი – 1767 წ. – აშშ-ს მომავალი მე-2 პრეზიდენტის (1797-1801 წ.წ.) ოჯახში დაიბადა ვაჟი ჯონ კუინსი ადამსი რომელიც ასევე გახდა აშშ-ს 6-ე პრეზიდენტი (1825-1829 წწ.).

მამა-შვილი პრეზიდენტები არიან აგრეთვე ბუშები: 41-ე პრეზიდენტი მამა-ჯორ ბუში (1989-1993 წწ.) და ამჟამად მოქმედი 43-ე პრეზიდენტი შვილი – ჯორჯ ბუში (პრეზიდენტი 2001 წლიდან).

აშშ-ს 23-ე პრეზიდენტი ბენჯამენ ჰარისონი (1829-1893 წწ.) იყო ბენჯამენ ჰარისონის შვილთაშვილი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია აშშ-ს თავისუფლების დეკლარაციაზე, ამასთანავე, პრეზიდენტი ბენჯამენ ჰარისონი იყო აშშ-ს მე-9 პრეზიდენტის უილიამ ჰარისონის (1841-1841 წწ.) შვილიშვილი. აშშ-ს მე-4 პრეზიდენტი ჯეიმს მადისონი (1809-1817 წწ.) და აშშ-ს მე-12 პრეზიდენტი ზაქარი ტეილორი (1849-1849 წწ.) ერთმანეთის შორეული ნათესავები იყვნენ.

აშშ-ს 26-ე პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი (1901-1909 წწ.) და 32-ე პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი (1933-1945 წწ.) ნათესავები იყვნენ. ასევე ნათესავები იყვნენ აშშ-ს 37-ე პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი (1969-1974 წწ.) და 39-ე პრეზიდენტი ჯიმი კარტერი (1977-1981 წწ.).

11 ივლისი – 1804 წ. – აშშ-ს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი „მამა“ ალექსანდრე ჰამილტონი დუელში მოკლა მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ ერონ ბურმა.

12 ივლისი – 2909 წ. – კონგრესში შეიტანეს აშშ-ს კონსტიტუციის, 16-ე შესწორება, რომლის თანახმადაც, კონგრესს ენიჭებოდა უფლება, ცალკეულ შტატებზე გაუნაწილებლად და ყოველგვარი აღწერის გარეშე, დააწესოს და აკრიფოს გადასახადები ნებისმიერ შემოსავალზე, რა წყაროებითაც არ უნდა იყოს ის მოპოვებული. შესწორება ძალაში შევიდა 1913 წლის 25 თებერვალს.

16 ივლისი – 1945 წ. – ნიუმექსიკის შტატში ალამოგორდოს პლატოზეააფეთქეს მსოფლიოში პირველი ატომური ბომბი.

20 ივლისი – 1969 წ. – მთვარისაკენ გაშვებული აშშ-ს რაკეტის „აპოლონ 11“-ის წევრი ასტრონავტი ნილ არმსტრონგი იყო პირველი ადამიანი, ვინც ფეხი დადგა მთვარეზე. მან ასტრონავტ ედვინ ოლდრინთან ერთად მთვარეზე დაჰყო 21 სთ. და 36 წთ. იმავდროულად მთვარის მახლობლად ორბიტაზე მფრინავ „აპოლონ 11“-ის მართავდა ეკიპაჟის მეთაური და მისი მესამე წევრი ასტრონავტი მაიკლ კოლინზი.

27 ივლისი – 1788 წ. – ამერიკის ინდუსტრიული კაპიტალის სამშობლო ნიუ-იორკი გახდა აშშ-ს მე-11 შტატი. ეს შტატი მოსახლეობით და პროდუქციის წარმოებით არაერთ სახელმწიფოს აღემატება.

27 ივლისი – 1953 წ. – აშშ-მა შეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები ჩრდილოეთ კორეაში და ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას.

28 ივლისი – 1869 წ. – რატიფიცირებული იქნა და ძალაში შევიდა აშშ-ს კონსტიტუციის მე-14 შესწორება, რომელიც მოქალაქეობას ეხება და ყველა შტატის ხელისუფლების ორგანოებს უკრძალავს ცხოვრებაში გაატაროს ისეთი კანონი, რომელიც შელახავს შეერთებული შტატების მოქალაქეების უფლებებსა და ხელშეუხებლობას.

30 ივლისი – 1619 წ. – ინგლისის კოლონიის ვირჯინიის დედაქალაქ ჯეიმსტაუნში შეიკრიბა ქალაქის პალატა, რომელიც წარმოადგენდა კოლონისტების პირველ არჩევით წარმომადგენლობით ორგანოს.

**გიორგი გეწაძე,**
**ადვოკატი,**
**თეიმურაზ გეწაძე**

● არმენ დარბინიანი: „სომხეთის ოფიციალური ეროვნული პოზიცია გამოიხატება იმით, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა და კულტურა, იყვნენ დღევანდელი ქართული საზოგადოების შემადგენელი ნაწილი“



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## იური ქიწოითი:

# დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს ზრახვებს

**სამხრეთ ოსეთის „ალტერნატიული პრეზიდენტი“ დიმიტრი სანაკოევი წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს და არა ოსი, ან ქართველი ხალხების ინტერესებს. ეს ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ იური ქიწოითმა.**



როგორც პარლამენტარმა თქვა, საქართველომ სრულიად შეუცვალა იმიჯი სანაკოევს საერთაშორისო გაერთიანების თვალში. „ეს ადამიანი გახდა არა რაღაც ალტერნატიული პრეზიდენტი, არამედ დროებითი ადმინისტრაციის მეთაური. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან პრეზიდენტს, როგორც ცნობილია, ხალხი ირჩევს, ადმინისტრაციის მეთაურს კი პრეზიდენტი ნიშნავს. ჩემი აზრით, სამხრეთ ოსეთმა საკმაოდ კარგად იმუშავა იმისთვის, რომ გაექარწყლებინა მითი ალტერნატიული პრეზიდენტის შესახებ“, – მიაჩნია ქიწოითს.

რაც შეეხება დიმიტრი სანაკოევის გამოსვლას ბრიუსელში, საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-9 სხდომაზე, ვიცე-სპიკერმა თქვა, რომ დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს, რომელსაც სურს სამხრეთ ოსეთის დაბრუნება. „გასაკვირი არ არის, რომ სამხრეთ ოსეთის თაობაზე საქართველოს და, პრინციპში, ევროკავშირის პოზიციაც სიტყვა-სიტყვით გააჟღერა სანაკოევმა ბრიუსელში. მათ ასეთი კაცი სჭირდებოდათ, და იპოვეს კიდეც. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება ფართო ავტონომიას საქართველოს შემადგენლობაში. ტექსტში, რომელიც სანაკოევმა წაიკითხა, ერთი სიტყვაც არ იყო მის მიერ დაწერილი – იგი მთლიანად შეადგინეს ქართველმა ექსპერტებმა თავიანთ დასავლელ კოლეგებთან ერთად“, – განაცხადა თვითაღიარებული რესპუბიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

კითხვას, თუ მიაყენებს რაიმე დარტყმას სანაკოევის გამოსვლა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას, ქიწოითიმ უპასუხა, რომ ამ ადამიანის გამოსვლა ბრიუსელში არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან არც საქართველოს და არც ევროკავშირს არ აურჩევიათ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი. „მაგრამ, ეს არის გარკვეული დარტყმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დიპლომატიური პოზიციებისთვის, თუმცა, ისეთი არა, რომელიც წელში გატეხდა მას. სადღეისოდ სამხრეთ ოსეთმა უნდა გადადგას საპასუხო ნაბიჯები. საქმე ის არის, რომ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებიც უნდა გამოვიდნენ საერთაშორისო ტრიბუნაზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ცხინვალში იმყოფებოდა ევროპარლამენტის წარმომადგენელი იტალიისგან. ჩვენ წამოვჭერით ეს საკითხი, და იგი ხელშეწყობას დაგვპირდა“, – თქვა იური ქიწოითმა.

პარლამენტარმა გამოთქვა რწმენა, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე ასევე აუცილებლად უნდა გამოვიდნენ საერთაშორისო ტრიბუნაზე. „დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ადამიანების გამოსვლას, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ სამხრეთ ოსეთს“, – მიჩნია თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერს.

ამ ცოტა ხნის წინათ ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, თითქოს საქართველომ შესთავაზა რუსეთს სამხრეთ ოსეთის დათმობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ. ამის თაობაზე პარლამენტარმა განაცხადა: „ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკის ბედი სადღეისოდ მთლიანად არის მოსკოვის ხელში. თავის გამოსვლაში სანაკოევმა დაასახელა მრავალი ქვეყანა, რომლებშიც, მისი აზრით, არის კონფლიქტის მოგვარების გასაღები. მაგრამ მას გამორჩა მთავარი – რუსეთი. თუ მოსკოვი გადაწყვეტს სამხრეთ ოსეთის გაცვლას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაზე, იგი ამას გააკეთებს კიდეც. მაგრამ მოსკოვში ოფიციალურ დონეზე ეს საკითხი არავის დაუყენებია“, – თქვა მან.

REGNUM

# საქართველომ გაეროში ხმის უფლებისთვის ფული გადაიხადა, თუმცა, ბოლომდე ვალები არ გაუსტუმრებია

**საქართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუჯეტში შეიტანა შესაბამისი თანხა, რის შედეგადაც მას ამოილებენ გადასახადების არგადამხდელთა „შავი სიიდან“, თუმცა ქვეყანას მთლიანად არ გაუსტუმრებია ვალები, იტყობინება გაეროს ახალი ამბების ცენტრი.**

საქართველომ შეიტანა მინიმალური თანხა, თუმცა, მთლიანად არ დაუფარავს დავალიანება, ხაზგასმულია გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის წერილში, რომელიც გენერალურ ასამბლეას გაუგზავნეს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციის წევრს, რომელსაც ერიცხება ფულადი შესატანების გადახდის დავალიანება, ჩამოერთმევა ხმის უფლება გენერალურ ასამბლეაში, თუ მისი დავალიანების თანხა უტოლდება ან აღემატება წინა ორი სრული წლის განმავლობაში შესატანების თანხის ოდენობას. იმისთვის, რომ არ დაკარგოს ხმის უფლება, სახელმწიფომ თუნდაც მინიმალური რაოდენობის გადასახადი მაინც უნდა შეიტანოს ბიუჯეტში.

მანამდე საქართველო ინარჩუნებდა ხმის უფლებას გენერალურ ასამბლეაში და აღიარებდა, რომ თანხის არგადაუხდელობა აიხსნებოდა მისგან დამოუკიდებელი გარემოებებით.

საქართველოსთან ერთად ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს გვინეა-ბისაუს, კომორის კუნძულების, ლიბერიის, ნიგერის, სომალის, ტაჯიკეთისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მიმართაც.

**ლარისა საენკო**

НОВОСТИ

# საქართველოში სომეხი ხალხის წარმომადგენლები პრობლემას არ უნდა ქმნიდნენ

**საქართველოში მცხოვრები სომეხი ხალხის წარმომადგენლები არ უნდა ქმნიდნენ პრობლემას როგორც სომხეთისთვის, ისე საქართველოსთვის.**

ასეთი განცხადება გააკეთა ერევანში რუსულ-სომხური (სლავური) სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, სომხეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა არმენ დარბინიანმა თავის მოხსენებაში „ტრანზიტის თავისებურებანი: პოსტსაბჭოური რეფორმათა გამოცდილება“.

„სომხეთის ოფიციალური ეროვნული პოზიცია გამოიხატება იმით, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა და კულტურა, იყვნენ დღევანდელი ქართული საზოგადოების შემადგენელი ნაწილი“, – თქვა მან.

როგორც არმენ დარბინიანმა აღნიშნა, პრობლემა შეიძლება წარმოიქმნას მაშინ და იქ, სადაც არ არის მოგვარებული ელემენტარული საყოფაცხოვრებო საკითხები. „საქართველოსთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარება ისე, რომ საქართველოში მცხოვრები ხალხები კმაყოფილი იყვნენ თავიანთი მდგომარეობით“, – მიაჩნია რუსულ-სომხური სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.

ჯავახეთი – საქართველოს, სომხეთის და თურქეთის საზღვრების შესაყარზე მდებარე რეგიონი, არის ტერიტორია, რომელზეც, სხვადასხვა შეფასებით, 91-97 პროცენტი სომეხი მოსახლეობა ცხოვრობს.

სამცხე-ჯავახეთის გაერთიანებული მხარის მოსახლეობა 238 ათას კაცს შეადგენს, რომლის 53 პროცენტი სომეხია. ამასთან, ისეთ რაიონებში, როგორიც არის ახალქალაქი, სომხები მოსახლეობის 91,3 პროცენტს შეადგენენ, ნინოწმინდაში კი – 89,6 პროცენტს.

ГазетаСНГ

# შევარდნაძე „გაცვლის“ წინააღმდეგია

**ედუარდ შევარდნაძე: არ ვიცი, რამდენად რეალურია პუტინ-სააკაშვილის მორიგების ვარიანტი, მაგრამ ვიცი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებისთვის ხმის მიცემა არის ერთადერთი კოზირი, რომელიც დარჩა საქართველოს, რადგან მისი ხმის გარეშე რუსეთს ამ ორგანიზაციის რიგებში, უბრალოდ, არ მიიღებენ.**



და თუ ჩვენ ახლა დავთანხმდებით ასეთ „გაცვლას“ სამხრეთ ოსეთის სანაცვლოდ, მაშინ, შემდგომში რაღა უნდა ვიღონოთ აფხაზეთთან დაკავშირებით? ასეთ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით დაველოდოთ, თუ როდის გახდება საქართველო ევროკავშირის და ნატოს წევრი – ეს სერიოზული გარემოცვა გახდება მნიშვნელოვანი არგუმენტი აფხაზეთის დაბრუნებისთვის. იქნებ, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამის იმედიც აქვს ჩვენს მთავრობას.

ГазетаСНГ

# ნატო საქართველოს სტიმულს აძლევს

**11-20 ივლისის პერიოდში საქართველოში გაიმართება მასშტაბური წვრთნა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში, განაცხადეს საქართველოს სამხედრო უწყებაში.**




საქართველო პირველად მასპინძლობს ალიანსის წევრი და მისი პარტნიორი ათი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალებს. მანევრებში მონაწილეობას მიიღებს 12 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, აგრეთვე ხუთასამდე სამხედრო მოსამსახურე.

წვრთნის სცენარის თანახმად, დახმარება უნდა გაუწიონ მიწისძვრებისა და წყალდიდობების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას. დაგეგმილია ასევე მოძრავი ჰოსპიტლის გახსნა.

ნატო საქართველოსთან აწარმოებს „ინტენსიურ დიალოგს“. თბილისს იმედი აქვს, რომ ალიანსში მიწვევას მიიღებს 2009 წლისთვის. ქართული არმიის მოდერნიზაციის მიზნით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ ქვეყნისთვის უპრეცედენტო თანხის გამოყოფა – 570 მილიონი დოლარი.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

გველების შემოსევებით შეშინებული პირველ სართულზე მცხოვრები ჩემი ერთი კოლეგა მეუბნება, შენ რა გიჭირს, მესამე სართულზე ცხოვრობო. გეგონება, უხსენებელს სართულებზე ასვლა უჭირდეს. ამ ათიოდე წლის წინათ, ჩვენი მე-9 სართულელი მეზობელი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, გველმა სააბაზანოში რომ „შეაკითხა“



გურამ დევდარიანი კოლეგებთან.

◉ განათლება

*განათლების სისტემაში მიმდინარე ყოველ სიახლეს საზოგადოებრიობა გაფაციცებით ადევნებს თვალს. აინტერესებს რას გვიკარნახებს ამ სისტემაში მიმდინარე რეფორმა. კერძოდ, რა ბედი ეწევა გამოჩენილი მათემატიკოსების ილია ვეკუას, ნიკოლოზ მუსხელიშვილის, ვახტანგ კუპრაძის თაოსნობით 1962 წელს თბილისის 42-ე სკოლის ბაზაზე შექმნილ ფიზიკა-მათემატიკის პროფილის კლასებს, 1982 წელს რომ სპეციალიზებული სკოლის სტატუსი მიენიჭა. ამ სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სათანადო მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, საგნობივი კაბინეტები. დანერგილია სტანდარტზევით მომსახურების სხვადასხვა ფორმა. სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებში, ნორჩ ფიზიკოსთა და მათემატიკოსთა კონკურსებში. დასკვნით ტურებში სხვადასხვა ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა 300-ზე მეტი მოსწავლე. მისი მისამართია: თბილისი, ჩაიკოვსკის ქუჩა №9, ყოფილი დირექტორია გურამ დევდარიანი.*

# „დირექტორი აღარა ვარ; განცხადება დავწერე წასვლაზე“

**– რატომ ყოფილი?** – ვკითხე გურამ დევდარიანს.

– უკვე დირექტორი აღარ ვარ, განცხადება 25 ივლისს დავწერე. ვერ მოვრიგდით მე და მთაწმინდა-კრწანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი თეა პაიჭაძე.

**– მიზეზი რა იყო?**

– 22 წელიწადია, რაც ამ სასწავლებელს ვხელმძღვანელობ, ფეხზე დავაყენე... ახლა დირექტორობის ახალი კანდიდატები უნდა წარუდგნენ სამეურვეო საბჭოს: ექიმ-მენეჯერი ალუდა გოგლიჩიძე და ფილოლოგი ნანა ტარტარაშვილი. სკოლის დირექტორები აღარ დაინიშნებიან სამინისტროდან, ამიერიდან სამეურვეო საბჭო გადაწყვეტს, სკოლას როგორი დირექტორი სჭირდება.

დირექტორობის მსურველებმა გაიარეს ტესტირება, გასაუბრება, რომელიც ეროვნული გამოცდების ცენტრმა ორ ეტაპად ჩაატარა. სამეურვეო საბჭოს წინაშე კანდიდატები დაადასტურებენ თავის მზადყოფნას, გახდნენ თანამედროვე სკოლის დირექტორები.

დირექტორმა სკოლის მართვა უნდა იცოდეს, ალბათ სწორედ ასეთები არიან გამოგზავნილი კანდიდატურები... მე კი საათობრივ დატვირთვაზე გადავალ. გამოდის, რომ ახალი დირექტორისთვის ხელისშემშლელი ვიქნები, ამიტომ დავრჩები საათობრივ დატვირთვაზე. განცხადება დირექტორის მოვალეობისაგან ჩემს განთავისუფლებაზე იმიტომ დავწერე, რომ რეფორმის ხშირი ცვალებადობა განათლების სისტემაზე ცუდად მოქმედებს, ძველის ნგრევას და ახლის სწრაფად დანერგვას ასე უცებ ვერ შევურიგდი... სულ რეფორმებში ვართ. ერთი რეფორმა არ დასრულებულა, მეორე რომ წამოეწევა ხოლმე. ახალ მინისტრს ახალი რეფორმები მოყვება ხოლმე, არც ერთი რეფორმა არ მისულა ბოლომდე, დრო ასაკს მატებს ადამიანს, ვინც შეძლო და დაეუფლა თავის დროს, დარჩა კიდეც... მე, ალბათ, ვერ შევძლებ დროის დაუფლებას...

**– მაინც რას გედავებიან?**

– ჩვენი სპეციალიზებული სკოლაა, თურმე, მე-7 კლასში კონკურსი არ უნდა ჩამეტარებინა. ამ კონკურსზე 430 ბავშვი მოვიდა; ის, ვინც კონკურსს გადალახავს, მიიღება. ასეთი მხოლოდ 100 ბავშვია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თვითონ ხლართავს გზებს... თუნდაც ასეთი მაგალითი: ვერ წარმომედგინა, რომ სამინისტროს მიერ გამოცემულ დებულებაში ჩვენი, კომაროვის სახელობის მათემატიკის სკოლის (ახლა საჯარო სკოლა-პანსიონია), ქუთაისის სკოლა-ინტერნატისთვის ადგილი გათვალისწინებული არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ამას ყურადღება არ მივაქციეთ და მაინც მივიღეთ რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა. მათი დაჯილდოება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გაიმართა. ამ ღონისძიებას მინისტრი ალექსანდრე ლომაიაც ესწრებოდა, მას ვთხოვე ღონისძიების დამთავრების შემდეგ ჩემთან საუბრისთვის 5 წუთი დაეთმო. ერთადერთი შეკითხვა მქონდა. ახალი რეფორმის შუქზე თუ როგორ გადაწყდებოდა ჩემი სკოლის ბედი, რაც მათ დებულებაში არ იყო გათვალისწინებული.

მან მიპასუხა, როგორც მუშაობთ, ისე გააგრძელეთ საქმიანობაო.

ჩვენთან მოსწავლეები კონკურსში გამარჯვების შემდეგ, მე-7 კლასიდან მე-11-ის ჩათვლით სწავლობენ თუ ადრინდელი განათლების განყოფილება გვეხმარებოდა, ახალი საგანმანათლებლო რესურსცენტრის (ახლა ასე ჰქვია განათლების განყოფილებას) ხელმძღვანელი ყველაფერში მედავება, არადა, ჩვენი სკოლა უკვე მონაწილეობდა უკრაინაში, გერმანიაში, პოლონეთში გამართულ საერთაშორისო საგნობრივ (მათემატიკასა და ფიზიკაში) ოლიმპიადებში. ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში ხუთეულშიც კი მოვხვდით. მარტო შარშან ეროვნულ გამოცდებში ჩვენი სკოლის 85 კურსდამთავრებული გრანტით ჩაირიცხა. ჩემს განცხადებაზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პასუხი ჯერ არ მიმიღია, ველოდები... სკოლის გარეშე კი ვერ წარმომიდგენია ცხოვრება. ჩემი ოჯახის ყველა წევრი პედაგოგია. ყველა პროფესიას, აგრეთვე პედაგოგების პროფესიასაც აქვს კოდირებული თვისება, იგი იხვეწება და განაგრძობს სიცოცხლეს. გარკვეული დინასტია იმუშავებს უნარ-ჩვევების მთელ კომპლექსს, ეთიკურ კომპეტენციას და მემკვიდრეობის უფლებით გადასცემს შთამომავლობას.

... 22 წელიწადი ატარა დირექტორობის მძიმე ტვირთი გამორჩეული სკოლის დირექტორმა გურამ დევდარიანმა. ახლა იმით სულდგმულობს, რომ თავის სკოლაში საათობრივ დატვირთვაზე მაინც დარჩეს...

**ნათელა ფაილოძე**



◉ ქალაქში გველები მომრავლდა

# კობა სუბელიანმა, არ შეშინდეთ, მაგრამ ფრთხილად იყავითო

*ეს რამდენიმე წელიწადია, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას გველები აწუხებს. ის კი არა და, ამბობენ, შარშან თუ შარშანწინ, რუსთავში, გიურზებს ვინ ჩივის, პითონიც გამოჩენილაო.*

*ამ დღეებში ტელევიზიით გამოვიდა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი და ხელში მოზრდილ გველს ათამაშებდა (მაინცდამაინც დამშვიდებული არ ჩანდა), თან ამბობდა: ეს გველი არ იკბინება, უწყინარია, და საერთოდ, ნებისმიერ გველს თქვენს ეზო-კარში თუ თვალი მოჰკრათ, არ შეიმჩნიოთ (?!) პირდაპირ ცხელ ხაზზე დარეკეთ, მაშინვე მოვლენ და ციმ-ციმ წაიყვანენო.*

*შარშან ივლის-აგვისტოში მარტო საბურთალოზე 15 გველი დაუჭერიათ, მათ შორის ერთი შხამიანი. წლეულს კი უფრო ადრე, მაისში ჩამოცხა და გველების „სტუმრობაც“ ნაადრევად დაიწყო. რა ფერისანი აღარ ყოფილან, რუხები, შავები, ყვითლები და... ჩუღურეთში წითელი გველიც კი უნახავთ. ისინი უდარდელად დასრიალებენ ქუჩებსა და ეზოებში და მოსახლეობას შიშის ზარს სცემენ. მერიის წარმომადგენლები გვეუბნებიან, მაგათი ნაკბენი სიცოცხლისთვის საშიში არ არის, თუ მაინცდამაინც მოგწვდათ, მარტო ორი წვრილი ნაჩვხლეტი დაგრჩებათ და ისიც მალე მორჩებაო. ისე, ყოველი შემთხვევისთვის არ აუქშიოთ, არ გაალიზიანოთ, არ გააბრაზოთ და არ გამოიწვიოთ, შეიძლება შხამიანიც გამოერიოსო(?!).*

*წლეულს უკვე 20-მდე გამოძახება იყო ვაკეში, საბურთალოზე, ორთაჭალაში, ჩუღურეთში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. თუმცა არც ერთი გველი არ ყოფილა შხამიანი, მაგრამ მათი დანახვით ელდანაკრავი ადამიანები გონს ალბათ ჯერაც ვერ მოსულან.*

*გველების შემოსევებით შეშინებული პირველ სართულზე მცხოვრები ჩემი ერთი კოლეგა მეუბნება, შენ რა გიჭირს, მესამე სართულზე ცხოვრობო. გეგონება, უხსენებელს სართულებზე ასვლა უჭირდეს. ამ ათიოდე წლის წინათ, ჩვენი მე-9 სართულელი მეზობელი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, გველმა სააბაზანოში რომ „შეაკითხა“.*

*ისე რომ, ყველას სიფრთხილე გვმართებს. ფუი ეშმაკს და... ყოველი შემთხვევისთვის ვიცოდეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ თუ გველმა დაგვგესლა.*

*გთავაზობთ სპეციალისტის მიერ მოწოდებულ რეკომენდაციას გველის მიერ დაკბენილის პირველადი დახმარების შესახებ.*



**გველის ნაკბენი გარეგნულად უმნიშვნელოა** – ხშირ შემთხვევაში წერტილოვანი ნახვრეტები (ჭრილობები) კანზე და მცირეოდენი შეშუპება მის გარშემო. ჭრილობას შეიძლება ახლდეს სისხლდენა და სისხლჩაქცევა.

**გველის ნაკბენის დროს შეინიშნება** – მხედველობის დაბინდვა, კრუნჩხვა, დიარეა, თავბრუსხვევა, ოფლიანობა, გრძნობის დაკარგვა, ცხელება, წყურვილის შეგრძნება, პირღებინება, პულსის აჩქარება და საერთო სისუსტე. ასეთ დროს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს. ან რაც შეიძლება სწრაფად გადაიყვანოთ დაზარალებული სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მას შესაბამის სამედიცინო დახმარებას გაუწევენ.

**კატეგორიულად აკრძალულია** – ნაკბენი ადგილის გაჭრა, ნაკბენზე ლახტის დადება, დაზარალებულისთვის სპირტის ან არყის მიცემა (დალევა), ნაკბენ ადგილას კალიუმის პერმანგანატის ან სხვა მჟანგავების შეყვანა, ნაკბენი ადგილის მოწვა. ყველა ეს მეთოდი კი არ ასუსტებს და აბრკოლებს გველის შხამის მოქმედებას, არამედ უფრო აძლიერებს მას და ხელს უწყობს მძიმე გართულებებს.

ექიმთან მისვლამდე ეცადეთ, რომ დაზარალებული მშვიდად იყოს, არ იმოძრაოს, დაზიანებული ადგილი გულის დონეზე ოდნავ დაბლა უნდა იყოს, რომ სისხლდენამ იკლოს. მაგრამ, შოკის ნიშნების შემჩნევისთანავე (ფერის დაკარგვა), იგი ბრტყელ ზედაპირზე უნდა დააწვინოთ, ფეხები მაღლა აანევინოთ და საბანი გადააფაროთ.

თუ სამედიცინო დაწესებულება შორსაა – პირველადი დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელია ჭრილობის ენერგიულად ამოწოვა 15-20 წუთის განმავლობაში. ოღონდ, არ უნდა დაგავიწყდეთ ამონაწოვის სწრაფად გადაფურთხება. შემდეგ შეძლებისდაგვარად ჭრილობა დავამუშაოთ იოდით, სპირტით, ბრილიანტის მწვანით.

**ბელა ლომთაძე**

● რუსეთის ფედერაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანას გეგმავს.



◎ მუსიკალური ფესტივალი

# თქვენთვის, ჩვენო პატარებო!

**3 ივლისს საზეიმოდ დაიხურა ბავშვთა და მოზარდთა მუსიკალური ფესტივალი „ზაფხულის რითმები“. ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ მერიის სოციალური დაცვის სამსახური, ანსამბლი „გვირილა“ და ასოციაცია „ჯადოსნური ხმები“.**

თბილისის მერიის სოციალური დაცვისა და კულტურის სამსახურს დაგეგმილი აქვს ბანაკების გახსნა სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის. ერთ-ერთი ასეთი საზაფხულო ბანაკი სწორედ ფესტივალის დახურვის დღეს ამოქმედდა.

კონცერტი მუშთაიდის პარკში გაიმართა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, პარკიდან კარგა შორს ისმოდა ბავშვების ჟრიამული და სიმღერის ხმა...

ჩვენ გავესაუბრეთ იმ ანსამბლების ხელმძღვანელებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუსიკალურ ფესტივალში.

**ნანა ბალახაშვილი, კომპოზიტორი, ანსამბლ „ლურჯა ცხენების“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენი სტუდია საქართველოს ბავშვთა ფედერაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ანსამბლის დაარსებიდან უკვე 14 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ჩვენთან მრავალი ნიჭიერი ბავშვი აღიზარდა. განსაკუთრებით ვზრუნავთ, რომ ჩვენს აღსაზრდელებს ჩამოუყალიბდეთ კარგი მუსიკალური გემოვნება. საბავშვო ესტრადას საქართველოში უამრავი პრობლემა აქვს. ყველაზე სამწუხარო კი მაინც ის არის, რომ ხშირად მოზარდი ასრულებს თავისი ასაკისათვის შეუფერებელ სიმღერას. ეს მიუღებელია ჩემთვის, როგორც პედაგოგისათვის. ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა შეირჩეს რეპერტუარი ბავშვებისთვის. — ამ კანონს არასოდეს ვარღვევთ. პატრიოტული სიმღერაც კი ლაღი და მსუბუქი უნდა იყოს, რომ ბავშვის სული არ დაითრგუნოს, არ დამძიმდეს.

მოხარული ვარ, რომ ეს ფესტივალი ჩატარდა და მან სიხარული მოუტანა ძალიან ბევრ პატარას, მათ შორის — ჩვენს აღსაზრდელებსაც.

**გიორგი ალიმბარაშვილი, ანსამბლ „ივერიელის“ ხელმძღვანელი:**

— „ივერიელში“ ძირითადად 87-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ცეკვავენ. ბევრი ნიჭიერი, იმედისმომცემი აღსაზრდელი გვყავს. ბავშვები სიხარულით ასრულებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს, მონაწილეობენ კონკურსებში, ფესტივალებში და წარმატებებსაც აღწევენ. ამ ფესტივალშიც ხალისით მიიღეს მონაწილეობა...

**ხათუნა ჭკუასელი, სტუდია „მუზის“ ხელმძღვანელი:**

— ჩვენი სტუდია უკვე 12 წელია არსებობს. ბავშვები ასრულებენ როგორც თანამედროვე, ასევე ტრადიციულ, ხალხურ სიმღერებსაც. ყველა ბავშვთან ინდივიდუალური მიდგომა გვაქვს — ვცდილობთ შევურჩიოთ სწორედ მისთვის შესაფერისი სიმღერა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში და ამავე დროს, მისი, როგორც პიროვნების ფორმირებაში...

**ციცო ბიჭიკაშვილი, ვოკალური სტუდია „მუსიკის ჰანგების“ ხელმძღვანელი:**

— ალბათ, გაინტერესებთ, რა ნიშნით ვარჩევთ აღსაზრდელებს ჩვენი სტუდიისათვის? ყველანაირი სმენის ბავშვებს ვიღებთ. თავიდან ბავშვი შეიძლება ვერ მღეროდეს, სმენაც არ ჰქონდეს კარგი, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი იხვეწებიან, სიმღერას სწავლობენ. სმენის გამოსწორება ჩვეულებრივი მოვლენაა. უბრალოდ, ძალიან დიდი შრომაა საჭირო, რომ პედაგოგმა სასურველ შედეგს მიაღწიოს. შრომას კი ახლდეს ბავშვების სიყვარული და პედაგოგიური ნიჭი — ამის გარეშე ბავშვებთან მუშაობა შეუძლებელია.

მიხარია, რომ ამ ფესტივალის მსგავსი ღონისძიებები ტარდება საქართველოში. მათ სიხარული მოაქვთ ჩვენი მომავლისათვის — ჩვენი პატარებისათვის!

**ხათუნა ჩიგოგიძე**








◎ ინფორმაცია

## რუსები სამხედრო კონტინგენტის გაზრდას აპირებენ

**რუსეთის ფედერაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დამატებითი სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანას გეგმავს. ამის შესახებ გამომცემლობა „გაზეტა“ რუსეთის სახმელეთო არმიის მთავარსარდლის მოადგილეზე, ვლადიმერ მოლტესკიზე დაყრდნობით იუწყება.**

მისი თქმით, ის, რაც დღეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ხდება, საყოფაცხოვრებო დონეზე ხელოვნურად გართულებული ვითარებაა და მეტი არაფერი.

## აფხაზი კომუნისტები გააქტიურდნენ

**სეპარატისტული აფხაზეთის კომუნისტური პარტია რუსეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს გენადი ზიუგანოვს რუსეთის დუმაში სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაციის განხილვის საკითხის დაყენებას სთხოვს.**

— ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოვლენათა შემდგომი სისხლიანი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ, რუსეთის დუმაში სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის განხილვის ინიცირება მოახდინოთ, — ნათქვამია ზიუგანოვისთვის გაგზავნილ მიმართვაში.

სეპარატისტული აფხაზეთის კომუნისტური პარტიის წევრები იმავე წერილში აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია მოძმე სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენებით.

## ე. წ. სამინისტრო ცრუობს

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, წუხელ გვიან ღამით სოფელ ნიქოზის მხრიდან ქალაქი ცხინვალი დაიცხრილა. ოსური მხარის მტკიცებით, სროლა ოცი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, სროლის შედეგად არავინ დაზარალებულა.**

გავრცელებულ ინფორმაციას ტყუილს უწოდებს ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი მამუკა ყურაშვილი. როგორც მან განაცხადა, წუხელ კონფლიქტის ზონაში სიმშვიდე იყო.

## „ჩემთვის დიდი პატივია ქართველი მსმენელის წინაშე გამოსვლა“

**ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ძალისხმევით, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში კამილ სენ-სანსის სამმოქმედებიანი ოპერა „სამსონისა და დალილას“ საკონცერტო ვარიანტი იქნება წარმოდგენილი.**

დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში გუშინ ცნობილმა ფრანგმა დირიჟორმა ვენსან მონტეიმ განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია ქართველი მსმენელის და საზოგადოების წინაშე გამოსვლა.

## „მაგთი ჯი-ეს-ემ“-ის ახალი სახე

**სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ კომპანია “მაგთი ჯი-ეს-ემ“-ის გენერალურმა დირექტორმა დევიდ ლიმ კომპანიის ახალი სახე, ცნობილი ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძე საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა.**

პრესკონფერენციაზე დევიდ ლიმ განაცხადა, რომ კომპანიამ საქართველოში პირველებმა ევროპასა და ამერიკაში საკმაოდ აპრობირებულ მეთოდს მიმართეს, რომ კომპანიას ცნობილი სახე ჰყავდეს და მათი ყურადღება, რასაკვირველია, კახი კალაძეზე შეჩერდა, რადგან იგი გამორჩეული ფეხბურთელია არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიო საფეხბურთო სამყაროშიც.

კახი კალაძის განცხადებით, მან საქართველოში მსგავსი წინადადება პირველად მიიღო და იგი რამდენიმე ფაქტორის გამო დათანხმდა.

ცნობილმა ფეხბურთელმა არ დააკონკრეტა, რამდენს უხდის „მაგთიკომი“. თუმცა, აღნიშნა, რომ თანხის ნაწილს სამტრედიაში მშენებარე ტაძარს მოახმარს, რომელსაც თავად აშენებს, ხოლო მეორე ნაწილს მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს — „მომავლის სახლს“ გადასცემს, რომელიც ამჟამად თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზეა განთავსებული.

## გოგონას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

**გლდანის I მიკრორაიონის მე-20-ა საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში გაუპატიურებული 6 წლის გოგონას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.**

როგორც მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის ანესთეზიისა და ოპერაციის შემდგომი განყოფილების გამგე მარინა ხაინდრავამ განაცხადა, ნაოპერაციები გოგონა ნარკოზიდან გამოვიდა და ის მშობლებმაც მოინახულეს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენ-ის მიხედვით**

# სპორტი

გათამაშების ფორმულის მიხედვით, ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად დებიუტანტებმა თავიანთ ჯგუფში მესამე ადგილი მაინც უნდა დაიკავონ. უკიდურეს შემთხვევაში, არის სათადარიგო ვარიანტიც: ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ყველასთან წააგებენ, სხვა ჯგუფების მაჩანჩალებთან ბრძოლაში პირველ ან მეორე ადგილზე უნდა გავიდნენ, მაგრამ, ვიმედოვნებთ, საქმეს აქამდე არ მიიყვანენ



## ◎ ორბიტაზე

### ინგლისის თასი „გაძვირდა“



**დიახ, 2007-08 წლის საფეხბურთო სეზონში ინგლისის თასის მფლობელი ფეხბურთის ასოციაციიდან მიიღებს 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ნახევარფინალისტები – 900 ათას გირვანქას, მეოთხედფინალისტთა ანაზღაურება – 300-300 ათასი გირვანქა იქნება, მერვედფინალისტებისა – 120 ათასი, ხოლო მეთექვსმეტედფინალისტებისა – 60-60 ათასი გირვანქა.**

### ჩემპიონი გადარჩა

**ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი კრივში ფრენკ ბრუნო კინაღამ დაიღუპა თავისი წინდაუხედაობით.** მან წვიმაში ვერ დაიმორჩილა 150 ათასგირვანქად ღირებული „ბენტლის“ საჭე და ლითონის ღობეს შეასკდა. მართალია, თავად ფრენკი არ დაშავებულა, მაგრამ მანქანის აღდგენა შეუძლებელიაო, – ამბობენ თვითმხილველნი.



როგორც ბრუნოს აგენტმა დევიდ დევისმა განაცხადა: „ფრენკი ძალზე დაღონებულია. მან ხომ ეს მანქანა საკუთარ თავს აჩუქა, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდა; მთავარია, რომ ხალხი არ დაშავდა“.

### 40-ათასგირვანქიანი წინასწარმეტყველება

**ინტუიციამ არ უმტყუნა იმ ინგლისელს, ჯერ კიდევ 1998 წელს ბუკმეკერების კანტორაში 200 გირვანქა სტერლინგი რომ დადო ბრიტანელი ლუის ჰემილტონის გამარჯვებაზე**




**ავტორბოლაში „ფორმულა-1“ ერთ-ერთ ეტაპზე, ვიდრე მას 23 წელი შეუსრულდებოდა.**

ასეთი უცნაური ფსონი ინგლისელმა მაშინ გაიღო, როცა კარტინგების რბოლას აკვირდებოდა სტივენჯიში. მაშინ 13 წლის ჰემილტონმა გაიმარჯვა.

და აი, 9 წლის შემდეგ „წინასწარმეტყველი“ მოგებულის – 40 ათასი გირვანქის მისაღებად მოვიდა, რადგან 22 წლის ჰემილტონმა ჯერ კანადის გრან-პრიზე გაიმარჯვა, შემდეგ კი – ამერიკაში.

## ◎ კალათბურთი

# ელიტური დებიუტი



**გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სლოვენიაში გაემგზავრა, სადაც პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. „ჯვაროსანთა“ მწვრთნელებმა დავით უსტიაშვილმა და გელა წულაძემ კონტინენტურ ფორუმზე ასეთი შემადგენლობა წაიყვანეს: რეზო დიდია (კაპიტანიძ, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი, ირაკლი ჯგერენაია, ლაშა ფარღალავა, ლევან ცეკვავა, მიხეილ ჭოჭუა, ლექსო ლაფანაშვილი, მიხეილ ბერიშვილი, ბექა წივწივაძე, გიორგი გაფრინდაშვილი და ირაკლი გულისაბედაშვილი, რომელმაც უკანასკნელ მომენტში შეცვალა ტრავმირებული დიმიტრი ფაცაცია.**

გთავაზობთ ჩვენი გუნდის შეხვედრათა განრიგს: **6 ივლისი.** საქართველო – ლატვია (16 საათზეძ, **7 ივლისი.** საქართველო – იტალია (23 საათზეძ. **8 ივლისი.** საქართველო – ბულგარეთი (18 საათსა და 15 წუთზეძ. გულშემატკივრებს ვაუწყებთ, რომ თანამემამულეთა მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების მოსმენა რადიო „ჯაკოს“ ეთერით შეეძლებათ.

გათამაშების ფორმულის მიხედვით, ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად დებიუტანტებმა თავიანთ ჯგუფში მესამე ადგილი მაინც უნდა დაიკავონ. უკიდურეს შემთხვევაში, არის სათადარიგო ვარიანტიც: ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ყველასთან წააგებენ, სხვა ჯგუფების მაჩანჩალებთან ბრძოლაში პირველ ან მეორე ადგილზე უნდა გავიდნენ, მაგრამ, ვიმედოვნებთ, საქმეს აქამდე არ მიიყვანენ.

დავძენთ, რომ სლოვენიაში გამგზავრებამდე ქართველმა ახალგაზრდებმა ორი ამხანაგური შეხვედრა მოუგეს ირანელებს, უკრაინელ თანატოლებთან კი სამივეჯერ დამარცხდნენ.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

## ◎ ტრაპიზონი – 2007

### უიღბლო სტარტი „შავ ზღვაზე“

**უკვე გაუწყეთ, რომ თურქეთის ქალაქი ტრაპიზონი შავი ზღვის ქვეყნების ახალგაზრდა სპორტსმენთა პირველ თამაშებს მასპინძლობს. მოასპარეზეთა შორის საქართველოს მრავალრიცხოვანი დესანტიც გახლავთ. სამწუხაროდ, თამაშების სტარტი ჩვენებურთათვის უიღბლო გამოდგა. ფეხბურთელებმა თურქებთან 3:5 წააგეს. არადა, ამ მატჩში ხურციძემ ჰეთ-თრიკი შეასრულა.**




გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს ჩვენმა კალათბურთელებმა ბერძნებისგან – 59:103. დღეს ისინი აზერბაიჯანელებს ეთამაშებიან.

ფრენბურთელმა გოგონებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს უკრაინელ თანატოლებს. ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო – 2:2 (24:26, 25:17, 22:25, 25:18ძ, გადამწყვეტი ხელი კი ჩვენებმა დათმეს 7:15. მეორე ტურში საქართველოს ნაკრები ბერძნებს შეხვდება.

პირველი რბოლა გამართეს ველოსიპედისტებმაც. ხოფა-რიზეს მონაკვეთზე მეშვიდე იყო ნოდარ ყვავაძე, მე-13 – დავით ასკურავა.

**შავი ზღვის თამაშები 8 ივლისს დამთავრდება.**



## ◎ კოპა ამერიკა



### წინ უფრო საინტერესო ბრძოლებია

**A ჯგუფში პერუ-ბოლივიისა და ვენესუელა-ურუგვაის მატჩებით დაიწყო ამერიკის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური.**

ამთავითვე შეიძლება ითქვას, პერუელები პისაროს უნდა უმადლოდნენ, რომ ისინი ამერიკული ფეხბურთის ამ დიდი დათვალიერების მეოთხედფინალში აღმოჩნდნენ.

24-ე წუთზე ანგარიში ბოლივიელებმა გახსნეს – მორენო, 10 წუთის შემდეგ პისარომ წონასწორობა აღადგინა. პირველი ტაიმის დამატებით წუთზე ბოლივიელები კამპოსის გოლით კვლავ წინ გავიდნენ, თითქმის მატჩის ბოლოს – 85-ე წუთზე ისევ პისარომ შეძლო ანგარიშის გათანაბრება და 4 ქულით მეოთხედფინალის საგზურის მოპოვება.

ძალზე უსახური გამოდგა მეორე მატჩი – ვენესუელა-ურუგვაი. შეხვედრას რაღაც „ამხანაგურის“ იერი დაჰკრავდა და უგოლოდაც დამთავრდა – თუმცა, გათამაშების მასპინძლებმა 5 ქულით, ხოლო ურუგვაელებმა 4 ქულით მაინც შეძლეს მეოთხედფინალში გასვლა. სხვათა შორის, ეს პირველი „მშრალი“ მატჩია ამ ტურნირზე.

წუხელ გვიან გაიმართა ბრაზილია-ეკვადორისა და მექსიკა-ჩილეს შეხვედრები, ხოლო ამაღამდელი არგენტინა-პარაგვაისა და აშშ-კოლუმბიის შეხვედრით დამთავრდება ჯგუფური ტურნირი და უფრო მძაფრი, საინტერესო მეოთხედფინალები დაიწყება.



№ 129. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2007 წელი.

№ 129. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2007 წელი.

*მაღალო ღმერთო, ნუღარ მიწყრები,
ჩემი ცხოვრების შენ ხარ თავმდები,
ასე მგონია, სადაც ვიწყები,
სადაც ვიწყები, იქვე ვმთავრდები*

◉ პოეტის ერთი ლექსი

**ჯანო ჯანელიძე**

## სიზმართა შვილი

*ჯემალ რამიშვილს*

*იცი კი მაინც, რაა
სიცხადის
გახუნებული სევდის
ფურცელი,
რა მანძილია ნეტავ
იმ ცამდე
ახლა მიწიდან მე
რომ ვუცქერი?!.*

*აქ, ამ ბინაში,
აქ, ამ მიწაზე
ვცხოვრობ დროებით,
მე განვადებით
და ერთადერთი ღმერთი
ვიწამე
და ძლიერ მალე ღმერთს
ჩავბარდები.*

*რა იყო მაინც ეს ყოფა ჩემი
გადაბურდული
ეკალ-ბარდებით?!.
ცოტა ღიმილი და
ცოტა ცრემლი
სურნელოვანი გლოვის
ვარდებით.*

*მაღალო ღმერთო,
ნუღარ მიწყრები,
ჩემი ცხოვრების
შენ ხარ თავმდები,
ასე მგონია, სადაც ვიწყები,
სადაც ვიწყები,
იქვე ვმთავრდები.*

*და ერთიც: თუკი გინდა
სიცოცხლე,
მაშინ ცხოვრებაც
უნდა იცოდე
და ისიც კარგად
უნდა იცოდე,
ნუ აიკიდებ, ძმაო,
სხვის ცოდვებს.*

*ასე მივყვები მე
ბედის სავალს,
ეკალ-ბარდებით,
უფსკრულით ხშირით,
შენ გგონია, რომ
სიცოცხლისა ვარ?!
არა, სიზმართა ეს
მე ვარ შვილი.*

*დარჩენილ დღეებს ნეტავ
ვინ ითვლის,
მაინც მოვსულვარ
ამქვეყნად რა დროს?!
და თუ მოვკვდები,
მხოლოდ იმისთვის
კვლავ სიყვარულად
რომ დავიბადო.*

*და, როცა ცისკრის
გალობას ისმენ
და, ვით ტოროლა,
ცას რომ ასკდები,
მიიღე იგი გალობა ისე,
ვით ღვთის წყალობა
უკანასკნელი.*

**ალექსანდრე შენგელია**

## ორაგულები

*ო, რა გულების
ყოფილან ეს ორაგულები?
დაყრიან ქვირითს,
იქვე კვდებიან
და ლიფსიტები
მშობლის მძორით
იკვებებიან.
რად გამახსენდა?
ო, ღმერთო ჩემო,
დიდება შენდა,*

*მსგავსებას ვხედავ,
ზოგისთვის ამ
გიორგობა დღის
ეკალგაცლილი ვარდების
გამო!
ო, რა ბუნებით,
რა გუნებით,
ო, რა გულებით,
ლიფსიტებისთვის
რად კვდებიან ორაგულები?*

◉ კავშირი გულთა შორის

# გურმანები და მოდის მოყვარულნი გაართო სიცილიამ...



**სიცილიური კულტურის დღეების ფარგლებში „სიცილია, მოდა და გემო“ კულტურის, მოდისა და დიზაინის ეროვნულ ცენტრში „ველოდორო“(ოქროს საწმისი)ძ სიცილიური საკვები პროდუქტების წარდგენა-გამოფენა და დაგემოვნება გაიმართა.** სხვადასხვა სიცილიელმა მწარმოებელმა საკუთარი პროდუქცია ქართული საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანეს. კარგი პროდუქტის ფასი კი ქართველმა დეგუსტატორმა ნამდვილად იცის. არც აქ გასჭირვებიათ სტუმრებს ხარისხიანი, ნატურალური საქონლის ამოცნობა. დიდი მოწონება დაიმსახურა „კაზეჩინო ნატურას“ წარმოებულმა ყველმა, „მედსაპორის“, „ორაციო დონატო მუსკოლინის“ დაკონსერვებულმა პროდუქტებმა, „ტორრონიფიჩო ჯერაჩის“ შოკოლადში ამოვლებული თხილის ნაირსახეობამ და „ვანკერის“ ყავამ, განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა „კანნავო სალვატორეს“ ბიოლოგიურმა ლიქიორმა „ბარაჩომ“ და „აძიენდა აგრიკოლას“ ციტრუსების თაფლმა. გამოფენა ერთნაირად საინტერესო და ეგზოტიკური იყო როგორც გურმანებისათვის, ისე თბილისის წამყვანი სასტუმროების მესვეურთათვის, რომლებისთვისაც ეს დეგუსტაცია იტალიური სამზარეულოს გახსნის წინაპირობაა. სიამოვნებით დააგემოვნეს სიცილიური პროდუქტები საქართველოში იტალიის საელჩოდან მიწვეულმა სტუმრებმაც, რომლებსაც პროფესიონალური ექსკურსი „ველო დოროს“ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერმა, კოორდინატორმა კლაუდიო დე ბიაზიმ ჩაუტარა.



ამ ღონისძიების წინ უძღოდა სიცილიური კულტურის დღეების ფარგლებში გამართული ჩვენება, რომელსაც თბილისის მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა უმასპინძლა. საკუთარი შემოქმედება ორმა იტალიელმა დიზაინერმა — კოსკანიომ და არქანჯელა აიელლომ წარმოადგინა. მათი კოლექცია ხაზს უსვამდა ქალის მომხიბვლელობასა და დახვეწილ სილუეტს, ამავდროულად გადაწყვეტილი იყო თანამედროვე დიზაინერული ტენდენციების გათვალისწინებით. კოლექცია ძირითადად საღამოს კაბებით იყო გაჯერებული, რომელთა ჩვენება ეგზოტიკური ჰანგების ფონზე მიმდინარეობდა.

საღამო სიცილიის რეგიონის ვაჭრობის, ხელოვნების და მეთევზეობის ლოკალური თანამშრომლობის დეპარტამენტის, „მასიმო პასტორელო მენეჯმენტის“ პატრონაჟით, კულტურის, მოდისა და დიზაინის ნაციონალური ცენტრის, „ველო დორო“ ორგანიზებით ჩატარდა, რომლის კოორდინატორმა კლაუდიო დე ბიაზიმ იმედი გამოთქვა, რომ ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს და ბიძგი იქნება ქართულ-სიცილიური ურთიერთობების განვითარებაში.

საღამოს ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი სიცილიური თემატიკისადმი მიძღვნილი კაბების ჩვენება იყო. ყოველი მათგანი რეგიონის თავისებურებასა და უნიკალურობას წარმოაჩენდა. მაყურებელს საშუალება მიეცა თვალი ედევნებინა მიძინებული და გაღვიძებული, დათოვლილი ვულკანისთვის „ეტნა“, სიცილიური ღვინის შთამბეჭდავი ფერისათვის... ყოველივე ეს საოცარი სინატიფისა და დახვეწილი გემოვნების ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

ღონისძიების ქართველმა და სიცილიელმა სტუმრებმა იმედი გამოთქვეს, რომ სილამაზისა და ხელოვნების ფოიერვერკით ჩამოყალიბებული კავშირი მომავალში მტკიცე ურთიერთობის საფუძველი გახდება.

**ნინო ბერძნიშვილი**

◉ მხატვრობა

# ფერიდან წამოსული ხედვა

**ის ტილოები, რაც მხატვარს სახელოსნოში „შემორჩა“, გალერეა „ჰობიში“ გამოიფინა. სხვადასხვა მოტივისა და სტილის კომპოზიციებში სოსო ნადირაძე ბუნდოვან, აბსტრაგირებულ სიუჟეტებს მისეულ ნათელ ფერებში განიხილავს.**

ალებული ფერის სისუფთავე და სიმსუბუქე სიმბოლურად არის ნაზავი ნამუშევრის ფაქტურასთან. აქ მხატვრისეული პალიტრა ბევრ რამეს იტევს — სივრცის ემოციურ შეგრძნებებს, სადაც ავტორისეული გააზრებები გადმოცემულია არაპირდაპირი, არაილუსტრირებული ფორმით... ნახატების დინამიურობა შეჩერებული დროის არსებობაზე მიგვანიშნებს, რადგან მხატვარი ტილოებზე რაღაც რეალურსა და ირეალურს გვთავაზობს და ამითაც დროში ზუსტი კატეგორიების არარსებობაზე გვახსენებს. ნამუშევრიდან ნამუშევრამდე მისი მხატვრული ენა ცვალებადობას განიცდის, თხრობის სტილი ახალ სივრცობრივ კონცეფციებში გადადის... უცნაურია შიშველი ნატურა, რომელსაც მხატვარმა „ოჯახი“ უწოდა, ბნელ ტონებში სრული ბუნდოვანებით გადაწყვიტა, ქალის ტორსიც აბსტრაქტული ორაზროვნებით გამოსახა...



ზღაპრული მოტივია „ოქროს თევზი“, რელიგიური თემა ასოციაციურად დაკავშირებულია თავშესაფართან „სახლი“, მისტიკურ ნამუშევრად შეიძლება აღვიქვათ „ღრუბლებს მაღლა“, პასტელური ტონების გრადაციებშია „ბებერი ჯვაროსანი“, მეწამულ ფერებშია „ნატურმორტი“, სადაც მოწითალო-მოვარდისფრო სინთეზს მხატვარი იყენებს დომინანტად.

— ხატვას არ სჭირდება ბევრი ლაპარაკი. რა ხასიათზეც ვარ, ისეთი გამოდის. ფერებსაც ხასიათი და ემოციები მკარნახობს. ჩემთვის არ არსებობს ჩაფიქრებული ნამუშევარი. პირველი არის ემოცია, როდესაც ფუნჯს ვიღებ ხელში და მერე იმ ემოციას მივყავარ საღლაც. ეს ქვეცნობიერად ხდება. ეს გამოფენაც ჩემი ამბიციაა კარგი გაგებით, თუმცა ამ გამოფენას ჩემი მხრიდან რაღაც უხერხულობის შეგრძნებაც ახლავს. ეს პირველი პერსონალურია, მაგრამ ჯგუფური გამოფენაც გახსნეს. მეორე დღესვე მივიტანე ჩემი ნამუშევარი. ეს ნახატი „ბაშმაკია“, მანქანის ერთ-ერთი ნაწილი ყოფილა ბაშმაკი, თქვენ იცოდით? არა, ხომ?! ეს იმდენად ემოციური იყო ჩემთვის, რომ ამ ემოციამ ნამუშევარი გამაკეთებინა და ამას სხვანაირი დატვირთვაც მივანიჭე, ამოტრიალებული ფეხსაცმლის ფორმა მივეცი, — გალერეაში მესაუბრება მხატვარი.

სოსო ნადირაძის პეიზაჟები ქართულია, მაგრამ ნატურიდან არ არის აღებული... მის შემოქმედებაში მნიშვნელობა არა აქვს გეოგრაფიულ საზღვრებში გაჩენილ ემოციას, რადგან ეს მხატვრული ემოციები თუ შთაბეჭდილებები ტილოზე ყოველთვის ქართულად გადადის და მისთვის ასევე ქართულად აღიქმება. უცნაური იშვიათობაა, მაგრამ თურქეთში ყოფნისას, ხატვა არამხატვრულ გარემოში დაიწყო, მისეულმა მხატვრულმა სტილმა „ფერი იცვალა“ გერმანიაში და ასე შორი გზით, ასე არაილუსტრირებული სახით მოვიდა ჩვენამდე. ეს ნამუშევრები აბსტრაგირებულია არა ფორმის მხრივ, არამედ შინაარსობრივად. ეს უფრო არის ფერწერაში დაშიფრული ვიზუალური ინფორმაცია, რომელიც მრავალმხრივად იკითხება...



— ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გაიცნოს სოსოს ხელოვნება იმიტომ, რომ გარკვეული წლები საქართველოში არ იმყოფებოდა და საზღვარგარეთ უფრო იცნობენ მის შემოქმედებას. ის ძალიან თანამედროვე მხატვარია და განსაკუთრებით, რაც მომწონს სოსოს ნამუშევრებში ეს არის ის, რომ სინათლე მოდის ნახატის სიღრმიდან, ნახატის შიგნიდან. ვფიქრობ, ეს ფერიდან წამოსული ხედვაა, რომელიც არ არის მძიმე, პირიქით, არის ჰაეროვანი, სუნთქავს ყოველი ნახატი. . რაც მთავარია, მისი ინდივიდუალობა და მისი ხელწერა არის გამოკვეთილი, — ამბობს ხელოვნებათმცოდნე ვანდა მუჯირი.

**მზეხა მახარაძე**

● ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ზაფხულს უდიდესი ტერორისტული აქტის მოლოდინშია. ამის შესახებ ამერიკის მთავრობის ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ტელეარხმა ABC-მ განაცხადა





## ◉ კოლეგის წიგნი

**ცოტა უცნაური კია, ცნობილი ჟურნალისტის ფარსადან თოფურიას წიგნი „ფული არ მაქვს და არც არასდროს მქონია“, რომელმაც ამ დღეებში იხილა მზის სინათლე, წიგნის ავტორისავე ხსოვნას რომ ეძღვნება. ეს როგორაო? – იკითხავს განცვიფრებული მკითხველი, – ბატონმა ფარსადანმა საკუთარი წიგნი საკუთარსავე თავს რანაირად უძღვნაო?**

# ეძღვნება ფარსადან თოფურიას

რანაირად და ამნაირად: როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჟურნალისტმა წიგნი კი გაამზადა გამოსაცემად, მაგრამ მის დაბადებას, არსთა გამრიგის უცაბედი სტუმრობის გამო, ველარ მოესწრო. მარადიულ სამყოფელში გამგზავრების წინ ფარსადანმა თავის განუყრელ მეგობარს ბიძინა გეგეშიძეს უხმო და მისთვის ჩვეული მორიდებით სთხოვა – ვიცი, დიდად დალხინებული არცა შენა ხარ, მაგრამ იქნებ არ დაიზარო და ჩემი მოკრძალებული ნაღვაწი შთამომავლობას შემოუნახოო.

ბატონ ბიძინა გეგეშიძეს, წიგნსა და მეგობრებზე შეყვარებულ პიროვნებას, დარწმუნებული ვარ, ფარსადანს რომც არ ეთხოვა, ამ საქმისთვის თავის მოზმა ისედაც არ დაეზარებოდა. აკი არც დაიზარა, როგორც იტყვიან, უკანასკნელი პერანგი გაიძრო, კაპიკს კაპიკი დაადო, მეგობრის დანატოვარი წიგნი გამოსცა და ის მისსავე ხსოვნას უძღვნა.

ეს წიგნი, – ნათქვამია შესავალში – დიდი რუდუნებითა და სიყვარულით არის შექმნილი მეგობარ-ჟურნალისტებზე და თვით საკუთარ თავზეც. იგი ერთგვარად აჯამებს წინა ორ წიგნში გამოქვეყნებულ წერილებს, ნარკვევებს, მოგონებებს, რომლებიც ეძღვნება გაზეთ „თბილისში“ მოღვაწე ჟურნალისტებს (და არა მარტო მათ. თავად ავტორმა ამ გაზეთში ათეულ წლობით ილვაწაძ. თავის მეგობრებსა და კოლეგებზე ნიადაგ მიყურადებულმა ჟურნალისტმა პორტრეტული ჩანახატების შექმნითა და წიგნად აკინძვით ფრიად კეთილშობილური საქმე გააკეთა. როგორც წესი, ჟურნალისტები სხვებზე ბევრს წერენ, მათზე კი – თითქმის არავინ, ფარსადან თოფურიამ ეს ხარვეზი „ერთი ხელის მოსმით“ შეავსო, თანაც სიყვარულით, მისთვის ჩვეული პატიოსნებითა და სიწმინდით აკეთა ეს საქმე – არავინ გააბაქიბუქა, არც ვინმეს მისხალი დააკლო, ყველა საკუთარი დამსახურებისა და კაცობის არშინით გაზომა. დიდი გული და სუფთა სინდისი უნდა გქონდეს კაცს, ეს რომ შეძლო.

ფარსადან თოფურიამ, მისდა სასახელოდ, ამის გაკეთება შეძლო. დარწმუნებული ვარ, ყველა თაობის ჟურნალისტები (და არა მარტო ისინიძ დიდი ინტერესით გაეცნობიან წიგნში დასტამბულ მასალებს.

**ოთარ ხუციშვილი**

## ◉ საშიშროება

# ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ზაფხულს უდიდეს ტერორისტულ აქტს წინასწარმეტყველებს

**ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ზაფხულს უდიდესი ტერორისტული აქტის მოლოდინშია. ამის შესახებ ამერიკის მთავრობის ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ტელეარხმა ABC-მ განაცხადა.**

მაღალი ეშელონების ჩინოვნიკმა, რომელმაც ანონიმად დარჩენა ამჯობინა, განაცხადა, რომ იმ მოხსენებაში, რომელიც სპეცსამსახურებმა გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური უსაფრთხოების სამინისტროსთვის, არის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სპეცსამსახურები ტერორისტული მუქარის სიგნალებს იღებენ, ეს სიგნალები იმგვარია, როგორიც 2001 წლის ზაფხულში, ტრაგიკული 11 სექტემბრის ტერაქტის წინ იყო.

იგივე წყარომ ისიც დაურთო, რომ ორიოდე კვირის წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურები გვაფრთხილებდა მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ გლაზგოსა და პრაღაშიო. დაზვერვის ინფორმაციით, ტერორისტული აქტების სამიზნედ შეიძლება აეროპორტები და საჰაერო საშუალებები გამხდარიყო.



ამავე დროს, მინისტრმა მაიკლ ჩერტოფმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია და განაცხადა, რომ „არ არის არანაირი სანდო ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერორისტული აქტები განხორციელდება.“

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურმა, სახელდობრ პერ-ანტუან ლორანზიმ თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატები 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე, 9 თვით ადრე გააფრთხილა. მისი თქმით, საფრანგეთის სპეცსამსახურებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ტერორისტების გეგმაში შეიძლება ყოფილიყო თვითმფრინავების გატაცება, ამერიკის ავიახაზებიდანაც კი. მაგრამ ამერიკის სადაზვერვო სამსახურის მონაცემებით, ტერორისტული აქტი უნდა განხორციელებულიყო ევროპაში და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

2001 წლის 11 სექტემბერს კი, ტერორისტებმა მასობრივი შეტევა განახორციელეს ამერიკის შეერთებულ შტატებზე. გატაცებული პირველი სამგზავრო თვითმფრინავით იერიში მიიტანეს ნიუიორკის ერთ-ერთ ცათამბჯენზე, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრზე. 18 წუთის შემდეგ კი მეორე ცათამბჯენი ჩამოინგრა. ნანგრევებში დაიღუპა ათასობით ადამიანი. მესამე თვითმფრინავი კი შეეჯახა პენტაგონის შენობას ვაშინგტონში. მეოთხე ლაინერი, რომელსაც თეთრი სახლისკენ ჰქონდა გეზი აღებული, პენსილვანიაში მდელოზე ჩამოვარდა. ტერორისტული აქტის შედეგად დაახლოებით 3 ათასი ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა
**ოლღა ცისკარიშვილმა**


**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

სს „საქაბრეშუმის“ კრედიტორთა საყურადღებოდ: 2007 წლის 13 ივლისს 13 საათზე დანიშნულია სს „საქაბრეშუმის“ კრედიტორთა კრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დ. გოგატიშვილის მიერ შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი. ქეთევან წამებულის ქ. №1.**



**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

**98-96-32;**
**899 328576**


## ◉ ინფორმაცია

# ჯარიმა – 65 ათას 553 ლარი

**ფოთის საქალაქო სასამართლომ თურქეთის დროშის ქვეშ მცურავ მშრალტვირთმზიდ გემს 65 ათას 553 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.**

შეგახსენებთ, რომ მცურავი საშუალება 2 ივლისს მესაზღვრეებმა გარემოს დაცვის სამინისტროს შავი ზღვის კონვენციური ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად ფოთის პორტში გარემოს დაბინძურების ფაქტზე გამოავლინეს.

# მესაზღვრეებმა 2 პირი დააკავეს

**მესაზღვრეებმა საქართველოდან გასვლისას შსს-ს მიერ ძებნილი საქართველოს მოქალაქე დააკავეს. აღნიშნული პირი შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს გარდაბნის განყოფილებას გადაეცა.**

ასევე დაკავებულია კიდევ ერთი პირი, რომელიც სარფში საზღვრის გადმოკვეთას გაყალბებული პასპორტით ცდილობდა. დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ საჯარო სამსახურის (სასწავლო დაწესებულებისძ მუშაკი. 2006 წლის 23 იანვრიდან ვიმყოფები დეკრეტულ შვებულებაში. 2006 წლის 19 აპრილს შემეძინა შვილი საკეისრო კვეთით. როდიდან მეკუთვნის სამსახურში გასვლა?**

**ნათია გოგოჩაშვილი**

**პასუხი:** მოქმედი კანონის შესაბამისად, ქალს შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო ეკუთვნის 477 დღის ხანგრძლივობით, საიდანაც ანაზღაურებადია 126 დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპების შეძენის შემთხვევაში – 140 დღე. საკეისრო კვეთა ითვლება გართულებულ მშობიარობად. ამიტომ ანაზღაურებადი შვებულება გეკუთვნით 140 დღე (რა თქმა უნდა, შესაბამისი საბუთის საფუძველზეძ სამუშაო ადგილიდან. დანარჩენი დრო კი, თქვენი სურვილით, უხელფასოა.



ბავშვის 3 წლის ასაკის შესრულებამდე დედისათვის უხელფასო შვებულების მიცემა, 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი შრომის კოდექსით, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული და არც გართულებული მშობიარობის შემთხვევაში არის მსგავსი ხანგრძლივობის შვებულებით სარგებლობა ნებადართული.

* * *

**კითხვა: ჩემმა უფროსმა 8 მარტისთვის „სიურპრიზი“ მომიწყო და 60 წლის უქმარშვილო ქალი სამუშაოდან გამათავისუფლა. ეკონომიკურად უკიდურესად მიჭირს. რამდენ დღეში უნდა გამისწორონ საბოლოო ანგარიში?**

**მ. მინდელი**

**პასუხი:** შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული

* * *

**კითხვა: ვარ სამეცნიერო ხარისხის მქონე, მაგრამ სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად საჭირო პირობები არ გამაჩნია. მაქვს 32 წლის შრომის სტაჟი. 2 მაისს მისრულდება 65 წელი. ვმუშაობ. გთხოვთ, განმიმარტოთ, ჩვეულებრივი პენსიის მიღების უფლება მაინც არა მაქვს?**

**გივი შველიძე**

**პასუხი:** თუ თქვენ ისეთ დაწესებულებაში არ მუშაობთ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, დაგენიშნებათ ასაკის პენსია და მოგეცემათ იგი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაშიც. აღნიშნულ საკითხზე საპენსიო ასაკის (65 წლისძ შესრულების შემდეგ უნდა მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**


# თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

TBILISI HUMANIRIAN UNIVERSITY

*(აკრედიტაციის №2-19/191 04.02.2005 წ.ძ*

**აცხადებს მაგისტრატურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

**საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა (20 ადგილიძ.**

**მენეჯერი ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში-MBA (20 ადგილიძ.**

**ამერიკანისტიკა.**

საბუთების მიღება წარმოებს 2007 წლის 20 აგვისტომდე.

**მისამართი: სანდრო ეულის, 3.**

**ტელ: 30-59-09, 30-59-08.**

**www.thu.edu.ge**

# ბოლო გვერდი

● მიხეილ გორბაჩოვი – სსრ კავშირის ექსპრეზიდენტი – ხელმძღვანელობს „გორბაჩოვ-ფონდსა“ და „საერთაშორისო მწვანე ჯვარს“. პენსია – 1100 დოლარი თვეში. ძირითადი შემოსავალია ლექციების კითხვა (20-80 ათასი დოლარი თითოეულ გამოსვლაში)



## VIP

# როგორ ცხოვრობთ, ბატონებო?!



**როგორც ცნობილი გახდა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ამ მაღალი პოსტიდან გადადგომის შემდეგ სულ რაღაც ორიოდე საათი იყო „უმუშევარი“ – იგი უმალ დანიშნეს სპეციალურ წარმომადგენლად ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. თუმცა რუსეთი თავდაპირველად შეეწინააღმდეგა ასეთ დანიშვნას („ახლო აღმოსავლურ კვარტეტში“ შედიან გაერო, ევროკავშირი, აშშ და რუსეთიც), მაგრამ მალე მაინც თანხმობა განაცხადა.**

ბუნებრივია, ისმის კითხვა – ასე სწრაფად რომ მოაგვარეს ბლერის „სამუშაოზე მოწყობის პრობლემა“, სად არიან და როგორ ცხოვრობენ ყოფილი მსოფლიო პოლიტიკოსები თავისი მაღალი პოსტებიდან წასვლის შემდეგ?

აი, მოკლე ცნობები ზოგიერთ მათგანზე:

**ბილ კლინტონი** – აშშ ექს-პრეზიდენტი – ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. მისი ფონდი ფინანსდება ეროვნული ბიუჯეტით (წელიწადში მილიონ დოლარზე მეტითაც). იღებს ჰონორარებს ლექციების კითხვისთვის და პენსიას – 191 ათას დოლარს წელიწადში.

**გერჰარდ შრედერი** – გერმანიის ყოფილი კანცლერი – მუშაობს ჩრდილოევროპული გაზსადენის აქციონერთა საბჭოში, არის ამ პროექტში „გაზპრომის“ ოთხიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი, წელიწადში 250 ათასევროიანი ხელფასით. აქვს ფასიანი გამოსვლებიც, ლექციაში 70 ათასი ევრო.

**სილვიო ბერლუსკონი** – იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, აკონტროლებს ევროპაში უმსხვილეს ინფორმჰოლდინგს „მედიაქსელს“, არის ფეხბურთის კლუბ „მილანის“ მფლობელი. მისი ქონება განისაზღვრება 12,8 მილიარდი დოლარით. არ კარგავს პოლიტიკაში დაბრუნების იმედს.

**მიხეილ გორბაჩოვი** – სსრ კავშირის ექსპრეზიდენტი – ხელმძღვანელობს „გორბაჩოვ-ფონდსა“ და „საერთაშორისო მწვანე ჯვარს“. პენსია – 1100 დოლარი თვეში. ძირითადი შემოსავალია ლექციების კითხვა (20-80 ათასი დოლარი თითოეულ გამოსვლაში).

სამწუხაროდ, უცხოური პრესის ამ თავისებურ რეიტინგში რატომღაც ვერ მოხვდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**,





ახლა სახელმწიფო პენსიით „მშვიდად“ რომ ცხოვრობს თბილისში, კრწანისის მთავრობის (თუ პრივატიზებულ) აგარაკზე.

**კახი გურული**

## ჩვენზე ამასაც წერენ

# სადა ხარ, ჩემო... „ხვანჭკარავ“?..

**ამ დღეებში სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეთაური ევგენი პრიმაკოვი საზეიმოდ დაგვპირდა ყველა შეზღუდვის მოხსნას ქვეყანაში ქართული ღვინის შემოტანაზე, ეს კარგია, მაგრამ სხვა უბედურება მოხდა.**

პოლიტიკური ავდარი ბუნებრივმა კატაკლიზმმა შეცვალა. კოკისპირულმა წვიმებმა და ღვარცოფებმა გაანადგურა სოფელ ხვანჭკარაში პრაქტიკულად ყველა ვენახი, სადაც მოჰყავდათ ალექსანდრეულისა და მუჯურეთულის უნიკალური ჯიშები (მხოლოდ იმათგან მიიღება ნამდვილი „ხვანჭკარა“ც).

სინოპტიკოსთა მონაცემებით, ეს იყო საქართველოში ყველაზე დიდი წყალდიდობა ბოლო 60 წლის მანძილზე. აი, რა გვიამბო ადგილობრივმა მცხოვრებმა ვახტანგ გოგუაძემ:

– წვიმა სულ 20 წუთიასხამდა, მაგრამ ამ დროში ვენახი ნახევარმეტრიან წყალში აღმოჩნდა. ახლა იქ ქვებილაა.

ორი წლის წინათ ხვანჭკარის ვენახები სეტყვის მსხვერპლი გახდა, ოღონდ მაშინ მოხერხდა მოსავლის მესამედის ხსნა. ღვარცოფმა ასეთი იმედი აღარ დასტოვა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ვენახების აღდგენა უკვე საეჭვო გახდა და, თუ ოდესმე კვლავ მოგვიწევს „ხვანჭკარის“ დაგემოვნება, ეს მხოლოდ „მარცხენა“ ჩამოსხმისა იქნება.

**ოლეგ როლდუგინი,**
„სობესედნიკი“

## ინფორმაცია

# პოლიციელმა თავი მოიკლა?

**რესტორან „არაგვის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპოვნი დაახლოებით 35 წლამდე ასაკის მამაკაცის ცხედარი** აფხაზეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი მაიზერ ნარსავიძე აღმოჩნდა. ამის შესახებ აფხაზეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომელმა განაცხადა.



**ინტერპრესნიუსი**

## ლარის კურსი

5 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3580 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6695 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2640 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9510 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4897 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3283 ლარი. |

## ხუმარსიტყვა

# ჭამი ცოდნისა და ჭამი მ ა (რ) ი აჟოზისა

*ქართულს თუკი სხვას ვერაფერს ვერ მოვუვლით –*
*გამოცდები მაინც ხომ გვაქვს ეროვნული!*
*მაღალ ქულებს, ნანატრ ქულებს შევწვდებითო,*
*იმ ლონდონში დაბეჭდილი ტესტებითო.*
*ზღვით მოსული, დასველებას გადარჩაო,*
*ოღონდ, ნეტავ, მაცოდინა, რა დაჯდაო.*
*... საგამოცდო ულელს რაკი შევებითო –*
*გაგაკვირვებთ ჩვენი უნარ-ჩვევებითო...*

**თამაზ ილმელი**

## ანეკდოტები

– ფერადი ფანქრები გაქვთ? – ეკითხება მიხო გამყიდველს.

– არა.

– სხვა რომელიმე ფერისა?

* * *

მარომ სილამაზის სალონში უამრავი კრემი თუ ხსნარი იყიდა. მთელი დღე კანს იზელდა.



– აბა, ერთი, შემომხედე, რამდენ წელს მომცემდი? – ჰკითხა სალამოს სამსახურიდან დაბრუნებულ მიხოს.

– სახით – 20 წელს, – თმით – 18, ხელებით – დაახლოებით 25 წელს...

– ოჰ, შე პირფერო შენა! – კეკლუცობს მარო.

– მაიცა, ქალო, ჯერ არ დამიჯამებია.

* * *

– მიხო, უბრალო ფანქარი გაქვს?

– აჰა, აიღე...

– მაგრამ ეს ხომ წითელია!

– შენთვის რა, წითელი ძალიან რთული ფერია?

* * *

ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ მათ კეთილი გული აქვთ. სინამდვილეში კი სუსტი ნერვების პატრონები არიან.

* * *

მამაკაცებს სექსი სურთ, ქალებს – სიყვარული... საბოლოოდ კი ორთავენი ერთსა და იმავეს აკეთებენ.

* * *

რუსეთში იყიდება უალკოჰოლო არაყი. იქაური გამოსაფხიზლებლები გადაიჭედა ფხიზელი, გაავებული, საბოლოოდ გამოთაყვანებული კაცებით.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“
ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.